პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი პირველი

ს. კ. კ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქ რევკომის
ორგანო

14 დეკემბერი
ოთხშაბათი

1918. ძალა-უფლებაზე ხელის აღება და გაქცევა უკრაინის „გეტმან“ სკოროპატსკის და მისი მინისტრების.

1917. ბრესტში ხელი მოაწერეს დროებითი ზავს ყველა ფრონტზე, ბალტიის და შავი ზღვის შუა და კავკასიაში.

რედაქციის მისამართი: თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა ქვირა უქმეებისა დილ. 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 19 სსერთო №

№ 236 ოთხშაბათი, 14 დეკემბერი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი ოთხშაბათი, 14 დეკემბერი, 1921 წ. № 236

თბილისის საბჭოს მოწოდება

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

საქართველოს მუშებს, გლეხებს, წითელარმიელებს და ყველა მშრომელთ!

ძმებო და ამხანაგებო!

ისმინეთ ხმა საბჭოთა საქართველოს დედა-ქალაქის მუშათა და წითელ ჯარის კაცთა პირველი საბჭოსი!

თბილისის ყველა მშრომელებმა, მუშებმა, წითელ ჯარის კაცებმა, მშრომელ ინტელიგენციამ, სახელმწიფო დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებმა აირჩიეს თავისი საბჭო, რომელიც ჩადგება დროებითი რევკომის ადგილას და გახდება თბილისის მშრომელთა ძალა-უფლების ორგანოთ.

ის იქნება კანონმდებელი, ისვე იქნება აღმასრულებელი ყველა მშრომელთათვის საკეთილდღეო კანონებისა.

თბილისის მშრომელ მასსამ აუწერელი აღფრთოვანება გამოიჩინა თავის საბჭოს არჩევნების დროს.

ვინც კი არ იყო ლოგინად ჩავარდნილი, ყველა მიეშურებოდა საარჩევნო კრებაზე.

მშრომელმა მასსამ გამოიჩინა უდიდესი პოლიტიკური სიბრძნე და შორს მჭვრეტელობა: მან თავის ინტერესების გამომხატველათ და დამცველათ აირჩია იმ პარტიის წარმომადგენლები, რომელიც მუდამ იყო მოციქული მუშების და გლეხების გათავისუფლებისა კაპიტალისტების და მემამულეების ჩაგვრისაგან, რომელიც იყო და არის მომხრე მუშის, გლეხის და წითელ არმიელის სრული გაბატონების, მათი დიქტატურის. თბილისის მშრომელმა მასსამ თავისი ძალაუფლების ციხე-სიმაგრის კარი გადურაზა და შიგ არ შეუშვა არც ერთი მენშევიკი, მემარჯვენე ფედერალისტი და სხ., რომლებიც წინააღმდეგი არიან მუშების და გლეხების სრული გათავისუფლების, რომლებიც წინააღმდეგი არიან მშრომელთა საბჭოების, რომლებიც ემხრობიან მდიდრებს, სამღვდელოებას, უხმობენ საბჭოთა საქართველოში დამჩაგვრელ საფრანგეთის და ინგლისის ჯარებს, სურთ ხელახლა დაანთონ აქ დამშვიდებულ [illegible] და განადგურების ჯოჯოხეთი.

თბილისის საბჭოში შრომის შვილებმა აირჩია კომუნისტები (ბოლშევიკები), და რამდენიმე პარტიული და უპარტიო დეპუტატი, რომლებიც კეთილსინდისიერათ ემხრობიან მუშების და გლეხების ძალაუფლებას და კომუნისტებს დაეხმარებიან მშრომელთა კეთილდღეობის მოპოვებაში.

ეს პირველი თბილისის საბჭო შეიკრიბა 10 დეკემბერს და დაადგინა მხურვალე სალამით მიმართვა საქართველოს ყველა მშრომელთადმი.

ძმებო და ამხანაგებო! თებერვლის გადატრიალებამ, რომელმაც მენშევიკური მთავრობა დაამხო და შორს გადისროლა, მთელი სახელმწიფოებრივი ძალაუფლება მშრომელთა ხელში მოაქცია ძველი წყობილების ნგრევის გავარვალებულ ხანაში საჭირო იყო დროებითი რევოლიუციური ორგანოები, რომლებიც სწრაფად გადასწყვეტდნენ მორიგ საკითხებს და ასე ნიადაგს შეუმზადებდნენ მშრომელთა ძალაუფლების გამტკიცებას. ასეთი ორგანოები იყო და არის რევკომები.

მაგრამ დადგა დრო მშრომელთა საბჭოების არჩევნების. თბილისის და ბათუმის პროლეტარიატმა უკვე შეჰქმნა თავისი საბჭო სადაც წარგზავნა თავისი ნამდვილი წარმომადგენელნი. ასევე უნდა მოიქცენ დანარჩენ საქართველოს ქალაქები, და დაბა-სოფლები.

საქართველო უნდა მოიფინოს მშრომელთა საბჭოებით, ქალაქის და სოფლის მუშამ ქვითკირით უნდა ამოიყვანოს თავისი დიქტატურის ციხე-სიმაგრე. ამ ადგილობრივი საბჭოების ყრილობა შეიქნება საქართველოს უზენაესი მმართველი და ბატონ-პატრონი.

საბჭოები გადაჰრიან ყველა საკითხებს, ისინი გაუძღვებიან მუშებს და გლეხებს მათ მუშაობაში, მათ ბრძოლაში. მიწა თუ სადმე ჯერ კიდევ ძველი მემამულის ხელშია, საბჭო ჩამოართმევს და გადასცემს ნამდვილ მიწის მუშას. სოფლის წურბელას, მევახშეს და ხალხის შემაწუხებელს საბოლოოთ ალაგმავს და შხამიან კბილს ამოაძრობს მხოლოდ საბჭო, სადაც თვით გლეხები იქნებიან კანონმდებელნი, სადაც ხელმძღვანელობა კომუნისტებს ექნებათ მინდობილი.

მეურნეობის მოღონიერების, აღორძინების და წინწაწევის საქმეს წარმატებით აწარმოებს მხოლოდ საბჭო. სხვადასხვა ტომთა და ხალხთა შორის შუღლს, მტრობას და ორგულობას საბოლოოთ აღმოფხვრის და მშრომელთა ძმობა-ერთობას დაამყარებს მხოლოდ მშრომელთა საბჭო. ქართველი, სომეხი, თათარი, ოსი, აჭარელი და აბხაზი მშრომელი ძმურათ ჩაებმიან საერთო საქმეში, ერთ შრომის ოჯახით იმუშავებენ და იბრძოლებენ საერთო სოციალისტურ სამშობლოს დასაცავათ, ასაყვავებლათ.

მაგრამ არ კმარა მარტო შინაური თანხმობა და სიმტკიცე. მენშევიკების ჩამოგდებული მთავრობა დასავლეთის იმპერიალისტებს ეპატიჟება აქეთ, რათა დასცეს აქ საბჭოთა მთავრობა და მშრომელთ ხელახლა დაადგას ჩაგვრის უღელი. მენშევიკურმა მთავრობამ ხელშეკრულება დასდო ამიერ-კავკასიის სხვა ჩამოგდებულ მთავრობებთან, რათა შეერთებულათ, საფრანგეთის ჯარის დახმარებით შემოიჭრან ამიერ-კავკასიაში და დაიბრუნონ ბატონობის გვირგვინი და ტახტი, რომელიც მშრომელმა ხალხმა დაუმტვრია მათ.

ასეთ მოღალატეთა კავშირს ჩვენ უნდა დავახვედროთ ამიერ-კავკასიის ყველა მშრომელთა წითელი კავშირი. საბჭოთა საქართველოს, ადერბეიჯანის და სომხეთის ძალთა გაერთიანება, ამ რესპუბლიკების ფედერატიული კავშირი აუცილებელი და სასარგებლოა ჩვენთვის, საქართველოს მუშა-გლეხებისთვის. ეს კავშირი გაგვაძლიერებს ყველას როგორც შიგნით, ისე გარეთ.

ვერც საფრანგეთის და ვერც ინგლისის მდიდრების და მყვლეფელთა მთავრობები ვერ გაბედავენ ჩვენზე თავდასხმას, თუ ვიქნებით დაკავშირებული, თუ ვიქნებით ზურგ-გამაგრებული დიდი საბჭოთა რუსეთის დახმარებით. მშრომელთათვის მშვიდობიანობა და სიმტკიცე მოაქვს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს.

მშრომელთა თავისუფლება, ცხოვრების აყვავება და ძმობა-ერთობა მოაქვს საბჭოთა წყობილებას.

საბჭოთა ძალა-უფლების დროშის ქვეშ—**წინ საქართველოს მშრომელნო!**

კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიის ხელმძღვანელობით შრომის და ბრძოლის ფრონტისაკენ განთავისუფლებულნო მაშვრალნო!

გაუმარჯოს მუშების და გლეხების საბჭოთა ძალა-უფლებას!

შორს ჩვენგან მშრომელთა ბატონობის მტრები და მოწინააღმდეგენი!

თბილისის მუშების და წითელჯარისკაცების საბჭო.

10—XII—21 წ.

თბილისის საბჭოს პირველი საზეიმო სხდომა

(გაგრძელება. იხ. „კომ.“ № 235.)

რიგ გარეშე განცხადება ამხ. ორახელაშვილისა.

ამხანაგებო! ეს არის ახლა მოვიდა ერთი არა სასიამოვნო ამბავი კიდევ, არა ჩვენთვის, არამედ იმათვის, ვინც საზღვარ-გარედ იმყოფებიან! ბათომში დამთავრდა საბჭოს არჩევნები, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა ამომრჩეველთა თითქმის 100 პროცენტი, ყველგან არჩეულ იქმნენ კომუნისტები და 15 პროც. უპარტიონი.

მქუხარე ტაში.

მილოცვა საქართველოს რევკომისა

(სიტყვა ამხ. ბუდუ მდივნისა).

ამგვარად, ტფილისში ჩვენა გვაქვს საბჭო მუშებისა და წითელ არმიელთა დეპუტატებისა. ამხანაგებო, ეს უბრალო ფაქტი არ არის. აქამდე ჩვენ მოვაღწიეთ ჩვენისა და ჩვენი მოწინააღმდეგეთა ძალების შემოწმებით. აქამდე ჩვენ მოვაღწიეთ არა მარტო ქართველების ძალით, არამედ რუსეთისა და დასავლეთ-ევროპის კომუნისტების ძალითაც. არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ დასავლეთ-ევროპაში პროლეტარიატი არა ისეთი აღტაცებულის ენტუზიაზმით, არა ისეთი ყოფილი გატაცებით რუსეთის რევოლიუციისადმი, მაგრამ სამაგიეროდ, მტკიცედ, სალათ და ანგარიშიანად აწყობს თავის რაზმებს. ანგარიშიანი შეიქმნა ევროპის კომუნისტი, მაგრამ, სამაგიეროდ მტკიცეა და უდრეკი იგი, ვით სალი კლდე. ის მეტის მედგრობით ზრდის თავის ძალას და გუგუნი მისი დიადი მოძრაობისა მოდიოდა და კიდევ მოვა აქამდე, თბილისამდე. აი ამ ძალებმა მოახდინეს გარდატეხა ჩვენს სასარგებლოდ.

გილოცავთ რა საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონურ კომიტეტის სახელით, გთხოვთ თქვენ დაუღალავათ იშრომოთ და მუშაობაში ხელმძღვანელობით შთაბეროთ მთელ საქართველოს სული საბჭოთა არჩევნებისათვის. ბათომში უკვე ამოირჩიეს საბჭო და როცა მთელი საქართველო მოიფინება საბჭოთა ქსელით, მაშინ შესწყდება ფუნქციები საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტისა. მოგილოცავთ და გთხოვთ: მალე გაგვრეკეთ ჩვენ, რევკომელები და თქვენ აიღეთ ხელისუფლება...

მქუხარე ტაში.

მილოცვა კავკასიის განსაკუთრებულ ჯარისა და საქართველოს წითელი ჯარისაგან.

(სიტყვა ამხ. შ. ელიავასი).

ამხანაგებო, ნება მიბოძეთ მოგილოცოთ წითელი არმიის სახელით, რომლის შრომაც ჩამარხულია წითელი თბილისისა და საბჭოთა ხელისუფლების საძირკველში. მენშევიკების საქართველოს საზღვრებს იქით ჩვენ ვგრძნობდით დიად ტანჯვას მშრომელ მასსებისას და როცა დაჰკრა ისტორიის საათმა, ჩვენ მოგვიწოდეს დასახმარებლად. არმიამ დიდი შრომა დასდო აქ არა მარტო სისხლით ომებში, არამედ პოლიტიკური მუშაობითაც. მე მინდა სურვილი გამოვსთქვა, რომ ეს კავშირი მუშებისა და გლეხებისა წითელ არმიასთან საბოლოოდ იქმნეს განმტკიცებული სრულიად საქართველოში საბჭოების შესაქმნელად.

გაუმარჯოს მუშათა და წითელ არმიელთა პირველ საბჭოს!

გაუმარჯოს ამ საბჭოისა და საქართველოს მშრომელთა კავშირს წითელ არმიასთან. გაუმარჯოს ამ კავშირის ძლევა-მოსილებას მშრომელთა ყველა დამმონავებლებზე!

მქუხარე, ხანგრძლივი ტაში.

სრულიად რუსეთის ცენტრ. პროფ. საბჭოს კავბიუროსაგან.

(სიტყვა ამხ. ფიგანტერისა).

ნება მიბოძეთ მივულოცო საქართველოს პირველ წითელ საბჭოს პროფესიონალური კავშირის სახელით. თუ 25 ოქტომბერს პროლეტარიატმა ხელში აიღო ძალა-უფლება, არა ნაკლები შრომა მიუძღვის ამაში მოსკოვისა და პიტერის პროფესიონალურ კავშირებს. თუ თქვენ ასეთი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეთ თქვენ წითელ საბჭოს არჩევნებში, არა ნაკლები როლი ეკუთვნის თბილისის პროფესიონალურ კავშირებს. ჩვენ გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ რაც უფრო წითელია კავშირები, მით უფრო მტკიცეა საბჭოთა ხელისუფლება.

სამოქალაქო ომის ყველაზე უფრო მძიმე დროს, როდესაც გვეგონა, საბჭოთა ხელისუფლება დაღუპვის პირზე იდგა, მოისმოდა ჩვენი პარტიის მოწოდება და პროფკავშირები ყოფდენ თავის რიგებიდან სულ ახალს ახალს და ახალს მებრძოლებს საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად.

და თუ ჩვენ ეხლა, როგორც სწორედ სთქვა ამხ. ორჯონიკიძემ, გადავდივართ გამარჯვებულ სამხედრო ფრონტიდან შრომის ფრონტის შეუდრეკელ მუშაობაზე, გამარჯვება აქ დამოკიდებულია განსაკუთრებით საბჭოებისა და პროფკავშირების მტკიცე კავშირზე.

მე ეჭვი არ მებადება, რომ თუ ჩვენმა პარტიამ გაიმარჯვა არჩევნებში ეს უნდა მიეწეროს პროფკავშირების გავლენას. თუ ასე გავიმარჯვებთ ბათომში და სხვა ქალაქებშიც ეს იქნება პარტიის მტკიცე გამარჯვება პროფკავშირებში.

მე ვესალმები თბილისის მუშებისა და წითელარმიელების პირველ თავისუფალ საბჭოს. დიახ, ეს პირველი თავისუფალი საბჭოა. აქამდის იყო თბილისში საბჭო, მაგრამ ის არ აკავშირებდა, არ აერთიანებდა, არამედ თიშავდა მშრომელთა მასებს; ის მენშევიკების ხელში გადაიქცა ნაციონალურ შუღლის იარაღათ და მუშათა კლასზე ძალადობად.

გაუმარჯოს საქართველოს წითელ განთავისუფლებულს პირველ საბჭოს ძლევა მოსილ მუშაობას მხარის სამეურნეო ფრონტზე!

მქუხარე ტაში.

სომხეთის რევკომიდან.

ამხ. მიასნიკოვის სიტყვა.

ამხანაგებო, თბილისის დღევანდელი დღესასწაულს მნიშვნელობა აქვს არა მარტო თბილისისა და საქართველოსათვის, არამედ მთელი ამიერ-კავკასიისათვის; თვალი გადავავლოთ საბჭოთა ხელის უფლების ნახევარი წლის არსებობას ამიერ-კავკასიაში, რა გააკეთა მან.

როგორი სახელიც არ უნდა უწოდოთ აქამდი აქ არსებულ ბურჟუაზიულ ხელისუფლებას მენშევიკური, მუსავატური თუ დაშნაკური, ყველა ისინი გამუდმებულად სთესდენ ნაციონალურ შუღლს და აქეზებდენ მშრომელებს ერთი მეორეზე. საბჭოთა ხელისუფლებამ კი დაამყარა საბჭოთა კავკასიის და რუსეთის მშრომელების მთლიანობა.

თუ ბურჟუაზიულმა პარტიებმა გადააქციეს კავკასია რევოლიუციასთან ბრძოლის ავანპოსტათ, საბჭოთა ხელისუფლებამ ის აქცია დასავლეთ ევროპის იმპერიალისტების შავი კონტრ-რევოლიუციონურ ძალების მოსაგერებელ ავანპოსტათ.

თუ ბურჟუაზიულმა ხელისუფლებამ ჩააგდო მშრომელი მასები სიღარიბესა და სირცხვილში, საბჭოთა ხელისუფლება ყოველ ძალღონეს ხმარობს რესპუბლიკების მეურნეობის აღსადგენად და მშრომელთა მატერიალურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. რასაკვირველია, წელიწად ნახევარის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლებამ ვერ მოასწრო ბევრის გაკეთება, მაგრამ მთავარი გაკეთებულია: მუშათა კლასის დიქტატურა დამყარებულია. ეს კი ნიშნავს, რომ ჩვენი ეკონომიური ბედი გამოვარკვიეთ.

გესალმებით სომხეთის მშრომელების სახელით. ჩვენთვის თბილისი ყოველთვის იქნება ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ცენტრი. რამდენადაც თბილისის პროლეტარიატმა შესძლო თავის საბჭოს მოწყობა იმდენად საბჭოთა ხელისუფლება ძლიერი იქნება მთელ კავკასიაში. შორს აღარაა ის დრო, როდესაც ჩვენ მოვასწრებთ კიდევ მეტის გაკეთებას. საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის მშრომელები მიხვდნენ თუ რის მიღწევა შეიძლება შეერთებული ძალებით და ფედერაციის იდეა მალე გახდება ჩვენ საერთო საქმედ.

გაუმარჯოს თბილისის პირველ საბჭოს!

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ყველა საბჭოებს.

საბჭოს საპატიო თავმჯდომარეები.

ერთხმად, მთელი კრების აღფრთოვანებული დასტურით, საბჭოს საპატიო თავმჯდომარეებათ ირჩევენ ამხ. ლენინს, ტროცკის, ზინოვიევს, კალინინს, ჯუღაშვილ—სტალინს, ცხაკაიას და მახარაძეს.

საბჭო ადგენს ყველა მათ გაუგზავნოს მისასალმებელი დეპეშები.

კომ. ახალგაზრდობის კავშირის მისალმება.

(ამხ. ძნელაძის სიტყვა)

ამხანაგებო, დღევანდელ საზეიმო დღეს დღესასწაულობენ არა მარტო უფროსი ამხანაგები, არამედ წითელი ახალგაზრდობაც, რომლის საოცნებო სურვილები ასე ბრწყინვალე გამარჯვებით დაგვირგვინდნენ. და ჩვენ, ახალგაზრდობა ვიბრძოდით თქვენთან ერთათ. ჩვენც განვიცდიდით აქ მენშევიკებისაგან დევნას და მათი, შოვინიზმის საწამლავით მოშხამულ, სულშემხუთავ რეჟიმს. მაგრამ ჩვენ გვწამდა და იმედებიც გაგვიმართლდა, რომ კომუნიზმის ნაპერწკალი ამ ატმოსფერასაც მოედებოდა და ააფეთქებდა. ჩვენ ყოველთვის და ყოველგან თქვენთან ერთად მივდიოდით და აწიც ვივლით. და ერთად ან გამარჯვება, ან სიკვდილი.

გაუმარჯოს მუშათა პირველ წითელ საბჭოს საქართველოში. (ტაში .

საქართველოს პროფსაბჭოდან.

(ამხ. კიკნაძის სიტყვა).

დღეს თბილისის მუშათა კლასი აბარებს ძალა-უფლებას თავის საბჭოს. და ეს საიდუმლოება არ არის, ამხანაგებო, რომ მუშათა კლასი თავის ბედს კომუნისტურ პარტიას ანდობს. ეს შემთხვევით არ ხდება. 17 წლიდან საქართველოს პროლეტარიატი ხელიხელ ჩაკიდებული მიდიოდა რუსეთის პროლეტარიატთან ერთად. 25 ოქტომბრის შემდეგ, როდესაც აქ მოიყარეს თავი, რევოლიუციის დეზერტირებმა, სოციალ-გამცემლებმა, კონტრ-რევოლიუციონერებმა და თეთრგვარდიელებმა, მაშინ დაიწყო გალაშქრება არა მარტო კომუნისტური პარტიის, არამედ მუშათა კლასის წინააღმდეგაც. მენშევიკებმა განდევნეს, დაშალეს პროფკავშირები—მელითონეების, მეტყავეთა და სხვების. ახლა თბილისის პროლეტარიატმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ იგი ენდობა კომუნისტურ პარტიას და მას ანდობს თავის ბედს. თქვენი ამოცანაა—შექმნათ საბჭოთა ხელისუფლება მთელს საქართველოში. მეორე მიზანია—იზრუნოთ წითელ ლაშქარზე, რომელმაც უკანასკნელ ჟამს დახმარების ხელი გაგვიწოდა. გაუმარჯოს თბილისის წითელ საბჭოს. გაუმარჯოს საბჭოების ხელმძღვანელს—კომუნისტურ პარტიას. (მქუხარე ხანგრძლივი ტაში .

მემარცხენე სოციალ-ფედერალისტებისაგან.

(ამხ. თ. ღლონტის სიტყვა)

ამხანაგებო, საქართველოში გავრცელებული იყო აზრი, რომ სოციალ-

საჭიროა ძალთა გაერთიანება

ჩვენთვის არასოდეს საიდუმლოებას არ შეადგენდა ის ფაქტი, რომ საზღვარ-გარეთ გაქცეული ყოფილი მბრძანებლები კავკასიის „დამოუკიდებელი“ რესპუბლიკების ეწეოდენ და ეწევიან დღესაც დაუღალავ მუშაობას ძველი მდგომარეობის აღსადგენათ. მათი „მოღვაწეობის“ ხასიათი კავკასიაში საკმაოთ გარკვეული იყო: ბურჟუაზიული რეჟიმის შენება შიგნი. მაგრამ რადგან მათ მეზობლობდა სოციალისტური რევოლიუციის ქვეყანა, რუმელიც ამასთანავე თავს იცავდა შემოსეული მტრებისაგან, ბუნებრივია კავკასიის ბატონ-პატრონებიც ვერ იქნებოდნენ ფაქტიურათ კეთილმეზობლურ განწყობილებაში იმ ძალასთან, რომელიც თანდათან ავრცელებდა თავის გავლენას შორეულ ქვეყნებშიაც, მით უმეტეს ეს შეიძლებოდა მომხდარიყო მოსაზღვრე სახელმწიფოებში. თვით სხვაობა საზოგადოებრივი წესწყობილების, რომლის შექმნაში ჩაბმული იყვნენ ორივე ძალა ჰქმნიდა მათ შორის ერთნაირ საკონფლიქტო მდგომარეობას, რომელიც შეიძლება მიჩქმალული ყოფილიყო ამა თუ იმ ხელშეკრულებით, მარა რომელიც ამ გარემოებით არ შეიძლება ფაქტიურათ მოსპობილიყო. ჩვენ გაზეთში გამოქვეყნებული დოკუმენტები კერძოთ მენშევიკების „მოღვაწეობის“ შესახებ რუსეთთან თვით ხელშეკრულების დადების შემდეგაც აშკარათ ხდიან ამ აზრს. თავის ბრძოლაში რუსეთის რევოლიუციისა და საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ კერძოთ მენშევიკები ეძებდნენ მოკავშირეებს. ასეთი მოკავშირეები უკვე სინამდვილით მოცემული იყვნენ. ესენი აღმოჩნდნენ ის ძალები რომლებიც ებრძოდნენ რევოლიუციას. კავკასიაში სხვა რესპუბლიკების მეთაურები, გარეთ რუსეთის კონტრრევოლიუციის რაინდები და დაბოლოს ევროპის ბურჟუაზიული სახელმწიფოები, რომლებიც თავის კლასიური ინტერესების მიხედვით დაინტერესებული იყვნენ მათთვის ხელი შეეწყოთ და აქტიურათ დახმარებოდნენ. ამნაირათ კავკასიაშივე გაინასკვა ის კავშირი, რომელიც გარკვეულ მიზანს ისახავდა რევოლიუციონური რუსეთის მიმართ. როგორც ვიცით მოწინააღმდეგეთა შეტაკება დათავდა საბოლოოთ რევოლიუციის გამარჯვებით კავკასიაშიც და დამარცხებულებმა ცენტრი თავისი სარევანშო მზადების გადაიტანეს უცხოეთში. მათი მიზანი დღესაც გარკვეულია: აღდგენა თავის ყოფილი ბატონობის კავკასიაში. მაგრამ ვინაიდან მათთვის აშკარაა, რომ დაპყრობილ პოზიციებს რევოლიუცია მათ ნებაყოფლობით არ დაუბრუნებს, რადგან ცხადია, რომ რევოლიუციონური მშრომელი მასსა თავის სახელმწიფოებრივ ძალა-უფლებას მათ ხელში თავის ნებით არ ჩააბარებს, ამიტომ ბუნებრივია, რომ საზღვარ-გარეთ გაქცეული ემიგრანტების მუშაობა სცილდება აგიტაციისა და „საზოგადოებრივი აზრის“ „დამუშავების“ სფეროს და რეალური ძალის ძებნაშია ჩართული. ასეთი რეალური ძალა კი დღეს დღეობით იმპერიალისტური სახელმწიფოების ხელშია. ამ ფაქტით უკვე გარკვეულია ის მისამართი, რომელთაც მათ უნდა ისარგებლონ. ასეთი ნაბიჯები უკვე გადადგმულია. ამ მუშაობას აწარმოებენ უცხოეთში ყველა ის ყოფილი მთავრობები, რომლებიც თავის „სიცოცხლის“ დროს ჰკრავდნენ აქაც კოალიციას რევოლიუციის წინააღმდეგ.

მათ ემატებათ დღეს უცხოეთში კიდევ ერთი ყოფილი „მმართველი“. ეს გახლავთ დაღესტნის „პრინცი შამილი“, რომელიც ერთ დროს საიდუმლო პოლიტიკურ კავშირში იყო ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მთავრობებთან და კერძოთ მენშევიკებთან. გაქცეულ „მმართველთა“ რიცხვს ემატება კიდევ ერთი, რომელიც, თავის სუსტი ძალისა და ავანტიურისტული ბუნების ფარგლებში, ცდას არ დაიშურებს საფრთხე მოუმზადოს იმ მხარეს რომელმაც ის ასე შორს გადაისროლა. საინტერესო ცნობებს იძლევიან მის შესახებ კონსტანტინოპოლის გაზეთები. პრინცი დღესაც იზიარებს იმ დამრჩენალ აზრს, რომ მოსალოდნელია აჯანყება ბოლშევიკების წინააღმდეგ. „ამ მომავალი ბრძოლის მოლოდინში—განუცხადებია მას ადგილობრივი გაზეთებისთვის—მე მივდივარ გარეშე დახმარების საძებრათ“-ო... „ჩვენი“ დამოუკიდებლება (მენშევიკურ) საქართველოსთან, აგრეთვე აზერბაიჯანთან და სომხეთთან შესანიშნავიაო, ამბობს შამილი. „საჭიროა დახმარება ანტანტის, რომ აღვამართოთ კედელი, რომელიც ხელს შეუშლის წითლებს დაეშვან სპარსეთისა და ინდოეთისკენ. ანტანტის დახმარებით ჩვენ შევქმნით საკმაო ძალას, რომ ბოლშევიკები შევაჩეროთ ჩვენი მთების ძირას. საუკეთესო საშუალება, რომ გზა გადაეჭრას ბოლშევიკების დამარღვეველ პროპაგანდას, არის დამოუკიდებელი სახელმწიფოებით წითელი რუსეთის შემოვლება“-ო. „დამოუკიდებელი“ სახელმწიფოების შექმნა, რათა საუკუნოებით დაბეჩავებული ხალხი აღმოსავლეთის კვლავ ევროპის იმპერიალიზმის რკინის ქუსლის ქვეშ გმინავდეს—ასეთი გზით უნდათ ყოფილ „მმართველებს“ უზრუნველ ჰყონ თავის ქვეყნების დაპყრობა და „განთავისუფლება“ ბოლშევიკებისაგან, რომ კვლავ გადიქცენ ისინი ბურჟუაზიული კონტრევოლიუციის საჯიჯგნათ, აღმოსავლეთის ახალშენების მონათმფლობელთა დასაყრდნობ ბაზათ, ბატონობის კვლავ შესანარჩუნებლათ.

საერთაშორისო რეაქციის ბუნაგში, პარიზში, დღეს თავი მოუყრიათ სხვათა შორის საქართველოს მენშევიკებს, სომხეთის დაშნაკელებს, აზერბეიჯანელ მუსავატელებს, მთიელ „პრინცებს“ და იქ სთხზავენ ახალ-ახალ გეგმებს ჩვენი მხარის ასაწიოკებლათ, ამიერ-კავკასიის ასაოხრებლათ, სისხლის საღვრელათ და აქ დამკვიდრებული მშრომელთა რეჟიმის დასამხობათ. ამისთვის ისინი მიმართავენ ყველა შავი ძალების, ქვეყნის დამრევი იმპერიალისტების დახმარებას. მათ შორის შეკრულია მჭიდრო თანამშრომლობის კავშირი, რომელიც, თუ მოახერხეს და სისუსტე შეგვამჩნიეს, უნდა გამოიყენონ ამიერ-კავკასიის და რუსეთის რესპუბლიკების, ფაქტიურათ ამ ქვეყნების მშრომელი მასების წინააღმდეგ მათზე გასაბატონებლათ, კვლავ მათ დასამონებლათ, დაწყებული წესრიგის ასაფორიაქებლათ, აღდგენისკენ მიმავალი მეურნეობის კვლავ დასანგრევათ, ხალხის მდგომარეობის უკვე რამოდენიმეთ მიღწეული მატერიალურათ გაუმჯობესების შესაჩერებლათ და მოსასპობლათ. ამ დროს, ასეთ პირობებში ჩვენში აქა-იქ კიდევ ისმის ხმები ამიერ კავკასიის მუშებისა და გლეხების შეკავშირების, საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის წინააღმდეგ, რომელსაც უნდა მოჰყვეს ჩვენი ძალების უფრო მჭიდროთ შეკუმშვა, მთელი ჩვენი შესაძლებლობის შეერთება, მოსალოდნელ საჭიროების დროს მათი ერთ წერტილში დასარტყმელათ და მტრების გასანადგურებლათ. ცხადია, რომ ეს არის ხმები გაქცეულების აგენტების, ხალხის მტრებისა და არა მეგობრების.

მშრომელი ხალხის კლასიური მტრები არ სთვლემენ, ისინი ერთიანდებიან, მათი ინტერესები უკარნახებს მათ ამ გაერთიანებას.

ამიერ კავკასიისა და რუსეთის მშრომელები დაუპირისპირებენ მტრების კოალიციას თავის მჭიდრო კავშირს; ამიერ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკები უპასუხებენ მათ სულ ახლო მომავალში ფედერაციის შეკვრით და ენერგიული მზადებით როგორც სამხედრო, ისე სამეურნეო ფრონტზე.

ფედერალისტების პარტია—ეს ფეოდალების, ხუცების და ბერების პარტია არისო. ასეთი აზრის ნამსხვრევებს, სამწუხაროდ ეხლაც აქვს გასავალი. ჩვენ კი სრულიად შეუმჩნევლად ვილიარებდით იმ აზრს, რომ მხოლოდ სოციალისტური აღმშენებლობის გზით, მხოლოდ ჭეშმარიტი—რევოლიუციონური სოციალიზმის გზით შესაძლებელია გამარჯვება. და ჩვენ მოვედით აქ არა იმისათვის, რომ ხელი შეუშალოთ იმ მუშებს, რომელნიც აქ შეიკრიბნენ შრომის სამეფოს ახალი და ბრწყინვალე აღმშენებლობისათვის, არამედ იმისათვის, რათა დავეხმაროთ და ვიბრძოლოთ მათთან ერთად... (ტაში). ჩვენმა ფრაქციამ მიზნად დაისახა პრაქტიკულად გაატაროს ცხოვრებაში ის აუცილებელი საქმეები, რაც ეხლა თბილისს ესაჭიროება. ჩვენ შევდივართ საბჭოში დეკლარაციით, რომელსაც ეხლა გამოვაქვეყნებ. დეკლარაცია დაწერილია რუსულად და ქართულად, მაგრამ სხდომა ფრიად ჭიანურდება და მე გამოვაქვეყნებ მას ყველასათვის გასაგებ, რუსულ ენაზე.

ამ. ღლონტი შემდეგ აქვეყნებს ვრცელ დეკლარაციას.

პეტროგრადის საბჭოსაგან.

ამხ. სლადკოვის სიტყვა.

ნება მომეცით როგორც პეტროგრადის საბჭოს წევრი მოგესალმოთ თქვენ პირველი საბჭოს გახსნის დღეს რევოლიუციონურ ბრძოლის ცეცხლში გამობრძმედილი პეტროგრადის წითელი საბჭოს სახელით.

მე მოგესალმებით თქვენ იმ საბჭოს სახელით, სადაც პირველად დაინთო რევოლიუციის შუქ-მფენი ჩირაღდანი. იმ პროლეტარიატის სახელით—რომელმაც თქვენ აქეთ გამოგიგზავნათ თეთრგვარდიელები, კაპიტალისტები, მუშათა კლასის გამყიდველები და სხ. ნება მომეცით მივესალმო იმათ ვინც შორს გადისროლა ყველა ეს პატივცემული პირები... (ტაში).

— თქვენ, ჩვენი სახელოვანი კავკასიელი ძმები, ძმები სისხლით და ბრძოლით იწვევთ პირველ საბჭოს. მე ვამბობ „პირველი" იმიტომ, რომ ჩვენ, ჩვენ პირველ საბჭოში ვიმყოფებით სულ სხვა პირობებში—ბრძოლისა და ცეცხლის პირობებში.

ორატორი თავის სიტყვის დასასრულში უსურვებს ქართველ მუშებისა და გლეხების პირველ წითელ საბჭოს გამარჯვებას და ამბობს:—ჩვენი ძმური დახმარება თქვენთვის ყოველთვის იქნება. (გაძლიერებული ტაში).

უპარტიო წითელ არმიელებისაგან.

ამხ. ბიაზის სიტყვა.

ფართო წითელ არმიელთა მასების სახელით მე ვესალმები თბილისის პირველ წითელ საბჭოს. მე მოვალეთ ვთვლი თავს განვაცხადო, რომ წითელ არმიელთა ფართო მასები ყოველთვის იცავდენ, იცავენ და დაიცავენ მომავალშიც საბჭოთა ხელისუფლებას თავის მკერდით. გაუმარჯოს წითელ მუშა წითელ არმიელთა საბჭოს. გაუმარჯოს წითელი არმიის შედეგებს მთელ დედამიწაზე! გაუმარჯოს წითელ დროშას და ვარსკვლავს მთელ მსოფლიოში! (მქუხარე ტაში, ორკესტრი ასრულებს ინტერნაციონალს).

კომინტერნის ქალთა საერთაშორისო სეკრეტარიატისაგან.

ამხ. კრასნაროვას სიტყვა.

მე მინდა გისურვოთ თქვენ, რომ თბილისის საბჭოს თავის მუშაობაში არ დაევიწყებიოს მშრომელთა ყველაზე უფრო დაჩაგრული ნაწილი—ქალები. ისინი კიდევ ჩამორჩენილია, საკმაოდ შეუგნებელი, ბნელი და უვიცი, ისინი უნდა ჩავაბათ საბჭოთა აღმშენებლობის აქტიურ მუშაობაში. ეს მით უფრო შესაძლებელი და აუცილებელია, რომ ქართველი ქალები უფრო დაწინაურებულია ვიდრე აღმოსავლეთის სხვა ქალები. გაუმარჯოს მუშა-გლეხების გაერთიანებას მუშა-გლეხების ქალებთან ერთად საბჭოთა ხელისუფლების გასამტკიცებლად.

ბაქოს საბჭოსაგან.

ამხ. კიროვის სიტყვა.

მე არ ვეკუთვნი პოლიტიკურ ექიმების რიცხვს, მაგრამ უნდა განვაცხადო, რომ ყველა ხმები, გავრცელებული იქ, საქართველოს გარეთ, სიცრუეა. საქართველოს ფართო მასები დაავადმყოფეთა საბჭოთა სისტემით სერიოზულად და საბოლოოდ. და რაც უფრო სერიოზულია—საქართველო დაავადმყოფდა საშინელი ავადმყოფობით—კომუნიზმით. რაც მოხდა თბილისში, უნდა მოხდეს მთელ პროვინციაშიდაც. არსებობს ასეთი ანდაზა თევზი თავიდან დალპება: თუ სატახტო ქალაქი ასე სერიოზულადაა ავად, მაშინ საშინელი ავადმყოფობა ემუქრება მთელ მხარესაც.

როდესაც ბაქოში დავბრუნდები მე ვეტყვი ბაქოს საბჭოს, რომ კავკასიის გულში, თბილისში ასეთივე რევოლიუციონური ენერგიით ფეთქს საქართველოს პროლეტარიატის გული—მისი პირველი წითელი საბჭო; რომ საქართველოს მშრომელი, მასები საბოლოოდ გამოვიდენ ფართო საბჭოთა გზაზე და რომ ამოცანებს, რომლებიც მათ წინ სდგას ისინი სწყვეტენ წარმატებით.

მუშაობა კი ჩვენც და თქვენც დიდი გვაქვს. კაპიტალისტური მსოფლიოს დამსხვრევა—ეს ამოცანა ღირსეულია ადამიანის ყოველ გვარი საზოგადოებისათვის. მაგრამ ვიტყვით თამამად, რომ ყველაფერი მოქმედობს ჩვენ სასარგებლოდ.

ორი წლის წინად ნოვოჩერკასკში ერთი გენერალი, რომელიც პრინციპიალურად არ იყო წინააღმდეგი ჩვენი ლოზუნგის—„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით", ვერ თანხმდებოდა იმაზე, რომ ეს შეერთება შეიძლება დაიწყოს სწორედ ნოვოჩერკასკში. და აი, ეხლა, ორი წლის შემდეგ მეორე გენერალი სლაშჩოვი სცნობს ამის შესაძლებლობასაც და წყნარად დაბრუნდა ჩვენთან.

ჩვენი განცდები კიდევ არ გათავებულა, დიდი ბრძოლა კიდევ წინაა. მაგრამ არა უშავს: მათ მხარეზე მხოლოდ ღმერთები და ჯვარის ძლიერებაა, ჩვენთან მე-3 კომუნისტური ინტერნაციონალი და ჩვენი წითელი დროშა (მქუხარე ტაში).

კაპიტალისტური მსოფლიო იშლება; ვაშინგტონის კონფერენციამ ეს დაამტკიცა. ამ კონფერენციაზე შეკრებილების ამოცანა—კაპიტალისტური ქვეყნის მთლიანად შეკავშირება—ჰგავს მეშჩანურ-მოქალაქის ამოცანას—გამოიანგარიშოს თუ რამდენი ქაჯი შეიძლება დაეტიოს ნემსის წვერზე.

სანამ ისინი ამ ამოცანის გამოყვანაშია, ჩვენ შევსძლებთ საბოლოოდ შევაკავშიროთ ჩვენი რიგები. კურსი სწორადაა აღებული; გზა არჩეულია ნამდვილი და რამდენიც არ უნდა გადავაჯგუფოდ ჩვენი რიგები, რამდენიც არ უნდა ვიშიშმილოთ და სიცივით ვიკანკალოთ, ამ გზის დაკარგვა შეუძლებელია. კაპიტალისტური ქვეყანა უკვე საფუძვლიანად შერყეულია.

და დღეს, როდესაც საფუძველს ვუყრით ბრძოლის სიმაგრეს—თბილისის მუშებისა და წითელ არმიელების დეპუტატების საბჭოს ჩვენ ვიცით, რომ გაივლის რამდენიმე დღე და მთელი საქართველო მოიფინება ასეთივე საბჭოებით. შემდეგ კი, გავერთიანდებით ამიერ-კავკასიის და რუსეთის მშრომელებთან, მოვიკლავთ შიმშილს, შევაკეთებთ ჩვენ დახეულ ტანისამოსს, გავწმენდთ ვინტოვკებს და კაპიტალისტებისაგან გარშემორტყმული დავხვდებით მორიგ შეტევას.

ეს კი ასე იქნება. აქ სწორად იყო აღნიშნული, რომ ყველა ჩვენს შეთანხმებებს კაპიტალისტებთან ერთი აზრი აქვს: ვინ ვის უფრო ადრე მოატყუილებს შრომისა და კაპიტალის შერიგება შეუძლებელია. ჩვენ ვიცით თუ რა დიდ ამბებს მოველით კიდევ, მაგრამ ჩვენ გვრწამს, რომ ევროპის მგლების ღმუილზე შევძლებთ ახალ განცდის გადატანას და ყველა საბჭოთა რესპუბლიკების დიდ კავშირის დამატებით გადავიხდით გადაჭრილ და უკანასკნელ ბრძოლას:

კაპიტალისტურ მსოფლიოს ბედი გადაწყვეტილია. სიკვდილი უახლოვდება მას ყოველ დღე და ღამე. იშლება ფართო, ბნელი საფლავი, და როდესაც მოახლოვდება სიკვდილის საათი, ჩვენ მწუხარებას კაპიტალისტურ ქვეყანაში გულში შევაკავებთ, და ჩაუშვებთ სამარეში მის სისხლით გაჟღენთილ ტანს, პანაშვიდის მაგივრათ ჩვენ ვიმღერებთ ჩვენ სალვთო ჰიმნს და საფლავზე კი დავდგამთ ისეთ ძეგლს, რომელსაც ვერ შეარყევს ვერავითარი მიწის ძვრა... (მქუხარე ტაში).

...ეს მოხდება გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე ამას ბევრი მოელის და ამიტომ ჩვენ უნდა ვემზადოთ, არ დავკარგოთ ერთი წამიც, რომ ჯოჯოხეთში ეშმაკებსაც ფიქრად არ მოუვიდეს დაწყევლილი წარსულის აღდგენის შესაძლებლობა. (ხანგრძლივი ტაში. ორკესტრი ასრულებს ინტერნაციონალს).

მისასალმებელი დეპეშა ბაქოს საბჭოსაგან.

ხელახლად არჩეული ბაქოს მუშების, გლეხების, წითელ არმიელების და მატროსების დეპუტატების საბჭო მე 3-დ მოწვეული) ესალმება თბილისის მუშა—წითელ არმიელთა საბჭოს, როგორც მუშათა კლასის დიქტატურის ორგანოს, ყოფილ „ყვითელი" დემოკრატიის და დამფუძნებელი კრების მხარეში დაბადებულ ჩვენ ახალ მოძმეს. თქვენი ბრწყინვალე ორგანიზაციული გამარჯვება მეშჩანურ-შოვინისტურ სტიქიაზე ჩვენ გვაიმედებს იმაში, რომ ამოსწვავთ გახურებული რკინით მენშევიზმის და შოვინიზმის შხამს, და ისე როგორც თბილისში მთელ საქართველოს ტერიტორიაზე აღმართავთ საბჭოთა ამიერ-კავკასიის მშრომელთა მასების ინტერნაციონალურ-სოლიდარობის დროშას.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ხალხების ძმობას!

გაუმარჯოს თბილისის მუშების და წითელ არმიელების პირველ წითელ საბჭოს!"

თბილისის საბჭოს პასუხი.

საბჭო ადგენს გაუგზავნოს ბაქოს შემდეგი საპასუხო დეპეშა.

...თბილისის მუშებისა და წითელ არმიელების პირველი წითელი საბჭო უგზავნის მხურვალე სალამს ბაქოს მუშების, გლეხების, წითელ ასკერების და მატროსების დეპუტატების საბჭოს და მის სახით—ბრძოლაში გამობრძმედილ, კომუნისტურად გაკაჟებულს, შეუდრეკელ რევოლიუციონურ მუშათა მოძრაობის ავანგარდს კავკასიაში და მთელ აღმოსავლეთში—სახელოვან ბაქოს პროლეტარიატს. თბილისის საბჭო არჩეულია ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების მჭიდრო და დაუყოვნებელი სამეურნეო და პოლიტიკური კავშირის ლოზუნგით.

მენშევიკების მონობისაგან განთავისუფლებული საბჭოთა საქართველოს მშრომელი მასები, მაუზერისტების—დაშნაკელების დაუსრულებელი ხოცვა ჟლეტისაგან—სომხეთის მრავალ ტანჯული შვილები, მუსავატელების ბატონობისაგან—ბაქოს მუშები და საბჭოთა აზერბეიჯანის გლეხობა, კომუნისტური პარტიის შეთანხმებით კვლავ ერთდებიან საბჭოების წითელ დროშის გარშემო, კავკასიის პოლიტიკურ და სამეურნეო მდგომარეობის აღსადგენად.

თბილისის საბჭო გაყვება თელილ გზას თავის უფროსი ძმის—ბაქოს საბჭოსას და მის ძლიერი დახმარებით მთელი ძალ ღონით გაამაგრებს საბჭოთა ხელისუფლებას ამიერ-კავკასიაში და მთელ ახალ აღმოსავლეთში. გაუმარჯოს ბაქოს მუშების, გლეხების, წითელ ასკერების და მატროსების დეპუტატების საბჭოს!

რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლისაგან.

ამხ. ლეგრანის დეპეშა.

საბჭოს თავმჯდომარე ამხ. დუმბაძე აცხადებს, რომ რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენელი ამხ. ლეგრანი ავადაა და ძალიან სწუხს, რომ არ შეუძლია პირადათ დაესწროს ჩვენ დღესასწაულს. თავის სალამი მან გამოგზავნა დეპეშით.

რეზოლიუცია ფედერაციის შესახებ.

ქ. თბილისის მუშათა და წითელ არმიელთა დეპუტატების პირველმა წითელმა საბჭომ თავის პირველ სხდომაზე მოისმინა რა მოხსენება საბჭოთა საქართველოს შინაურ და საგარეო მდგომარეობის შესახებ, დაადგინა: მიესალმოს ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების საკავშირო ხელშეკრულების დადგენილებას, და იცნოს ფედერაცია სავსებით მომწიფებულად, რომელიც გამოწვეულია საბჭოთა რესპუბლიკების შინაურ და საგარეო მდგომარეობით.

მისალმებანი.

მოსკოვი

კრემლი. ამხ. ლენინს.

თბილისის მუშების და წილელ არმიელთა დეპუტატების პირველი წითელი საბჭო აღფრთოვანებით ესალმება მშრომელთა მსოფლიო რევოლიუციის ბელადს, რომელმაც გალესა ბრძოლის იარაღი ექსპლოატატორების ძალა-უფლების დასამხობად. პროლეტარულ საბჭოების მნიშვნელობის გენერალური განმჭვრეტის სახე ჩვენ გვამხნევებს მუშაობისა და ბრძოლაში. ძლიერნი თქვენი დახმარებით და მუდმივი დარიგებებით, ჩვენ ვიბრძოლებთ მეურნეობის რღვევა-ნგრევის წინაამდეგ, ვიბრძოლებთ სისხლიან ფრონტებზედაც, თუ მტრები შეეცდებიან თავს დაესხან დიდ საბჭოთა ფედერაციის განაპირა ქვეყნებს.

გაუმარჯოს მშრომელთა მსოფლიო რევოლიუციას.

გაუმარჯოს მის ბელადს, ამხ. ლენინს.

თბილისის მუშების და წითელ არმიელთა დეპუტატთა საბჭო.

10 დეკემბერი 1921 წ.

მოსკოვი, კრემლი.

ს. რ. ც. კ. პ. პრეზიდიუმს.

ამხ. კალინს.

თბილისის მუშებისა და წითელ არმიელების პირველი საბჭო ესალმება მუშა-გლეხთა დიქტატურის მმართველ და მომქმედ ორგანოს, რომელმაც მისცა მთელ მშრომელ მსოფლიოს საკვირველი ორგანიზაციული ბრძოლის მაგალითები როგორც სისხლიან ისე სამეურნეო ფრონტზე.

პროლეტარულ და წითელ არმიელთა მასებიდან თავისუფალ არჩევნებით მისწრაფის შეითვისოს მშობლიურ რუსეთის მუშა-გლეხების ბრძოლის და გამარჯვების გაკვეთილები და იყოს საბჭოთა საქართველოს სატახტო ქალაქის მშრომელების ისეთივე ხელმძღვანელი, როგორიცაა საბჭოთა დიდი რუსეთისათვის მისი უმაღლესი მმართველობა—სრულიად რუს. აღმასკომი.

გაუმარჯოს რუსეთის მშრომელთა მასსებს!

გაუმარჯოს ყველა ქვეყნების მშრომელთა რევოლიუციონურ კავშირს!

თბილისის მუშათა და წითელ-არმიელთა დეპუტატების საბჭო.

10 დეკემბერი—21 წ.

ქ. თბილისი.

პეტროგრადი, სმოლნი, ამხ. ზინოვიევს.

თბილისის მუშების და წითელ არმიელების დეპუტატების პირველი წითელი საბჭო უგზავნის რევოლიუციონურ სალამს კაპიტალის წინააღმდეგ მეამბოხე ქალაქის საბჭოს, დედაქალაქის საბჭოს ოქტომბრის რევოლიუციისას, რომელმაც მსოფლიო პროლეტარიატს ახარა ექსპლოატატორების ძალა-უფლების ძალდატანებითი დამხობა და მსოფლიო სამოქალაქო ომის დასაწყისი სოციალიზმისათვის. ფიცს ვაძლევთ ჩვენ ჩრდილოეთელ ძმებს და ამხანაგებს ბრძოლაში, რომ ჩვენ აქ, საბჭოთა დიდი ფედერაციის სამხრეთ საზღვარზე, ვიდგომებით მშრომელთა დიქტატურის მონაპოვართა სადარაჯოზე, წავბაძავთ რა ბრძოლასა და აღმშენებლობაში ოქტომბრის გადატრიალების პიტერის მუშების და ჯარისკაცთა გმირობას. გაუმარჯოს პიტერის საბჭოს! გაუმარჯოს რუსეთის და საქართველოს მუშების და გლეხთა განუყრელ კავშირს".

კავკასიის ცალკე მუშურ-გლეხურ არმიას:

თბილისის მუშათა და წითელარმიელ დეპუტატების პირველი წითელი საბჭო თავის მხურვალე სალამს უგზავნის კავკასიის ცალკე მუშურ-გლეხურ არმიას, რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს, უფროსთა და კომისართა შემადგენლობას და ამხანაგ წითელ არმიელების სახით, რომელნიც გამოეხმაურენ საქართველოს მშრომელთა მოწოდებას, რომელნიც აჯანყდნენ იმპერიალიზმის და მისი სისხლიანი ლაქიების უღლის წინააღმდეგ, უყოყმანოდ გამოეშურეთ თქვენ ჩვენი დასახმარებლად, მოგქონდათ რა თან არა მარტო საომარი სიმამაცე შრომის დამცველებისა, არამედ უანგარობაც ყველა ჩაგრულთა განმათავისუფლებლებისა: უშიშრად ღვრიდით რა სისხლს მთელი კავკასიის მშრომელთა საქმისათვის, გაირეკეთ რა წინ იმპერიალისტები და მათი დამქაშები, თქვენ დაამყარეთ აქ ოქტომბრის რევოლიუციის დიდი იდეა, რომლის მატარებელიც არის თბილისის მშრომელთა პირველი წითელი საბჭო. დეე, მუდამ ცოცხლობდეს საქართველოს მშრომელთა გულში ზრუნვა მუშურ-გლეხურ არმიის დაღუპულ მეომრებზე! დიდება მუშურ-გლეხურ ხელისუფლების ცოცხალ რაინდებს!

სრულიად საქართველოს საბჭოების არჩევნებისათვის

ბრძანება № 94

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა

1. მოწყობილ იქნეს ცენტრალური კომისია საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის საბჭოების მოსაწვევად. კომისიაში შედიან: თავმჯდომარედ ამხ. **ორახელაშვილი,** თავმჯდომარის მოადგილედ—ამხ. **ელერდაშვილი,** და წევრებად: ამხ. **წივწივაძე ილია, ლალაევისა, ნ. ოკუჯავა, გოგობერიძე, ყურულაშვილი, ღლონტი თევდორე** და ერთი წარმომადგენელი კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ს. ქავთარაძე.**

რევოლიუციონურ კომიტეტის მდივანი **ალ. სალარიძე.**

1921 წლის დეკემბრას 13-ს.

ტფილისი—სასახლე.

წითელ რესპუბლიკებში

საქართველო.

სენაკის რევკომის მოქმედება.

შტატების შემოკლება.

სამაზრო რევკომის დადგენილებით სათემო რევკომების შტატები 15 სექტემბრიდან დაყვანილია შემდეგ ნორმებამდე: რევკომის წევრები—3, საქმის მწარმოებელი—1, შიკრიკი—1. არჩეულია საშტატო კომისია, რომელსაც მიენდო სასწრაფოთ მოახდინოს დაწესებულებათა რევიზია შტატების შესამოკლებლათ.

ხიდების და გზების შეკეთება

რევკომმა წინადადება მისცა ეკონომიურ განყოფილებას შეუდგეს გზების და ხიდების შეკეთებას ახალ-სენაკსა, ნაქალაქევსა, ბანძასა, მარტვილსა და სალხინოში.

იმავე განყოფილებას წინადადება მიეცა სასწრაფოთ შეიმუშაოს პროექტები და ხარჯთ-აღრიცხვები ხიდების აშენებისა მდინარე დარჩუმის, ტეხურის და ნაჩხურისა.

ხე-ტყის სახერხი ქარხანა ტეხურზე.

ინჟენერ კოპაძეს მიანდეს ხარჯთაღრიცხვა შეადგინოს მდ. ტეხურზე ხე-ტყის სახერხი ქარხნის აშენებისა.

განათება

სამაზრო რევკომმა შუამდგომლობა აღძრა საქართველოს რევკომის წინაშე, რომ მას მიეცეს ერთი დინამო განათებისთვის.

რუსეთი

ფულის რეფორმა

სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტი.

რ. ს. ს. ფ. რ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გამოქვეყნებულია დეკრეტი ფულის ტრიალის რეფორმის შესახებ:

ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის და აქედან გამომდინარე აუცილებლობისა გამო ფულის ტრიალის სისტემის თანდათანობით რეორგანიზაციისა, მცხოვრებლებისა და სავაჭრო-სამრეწველოების ტრიალისათვის, საქონლის სამეურნეო აღრიცხვის უფრო სწორ საფუძვლებს მისანიჭებლად ფულის ანგარიშების გაადვილების მიზნით,—სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა:

გამოუშვას სახელმწიფო ფულის ნიშნები შემდეგ საფუძველზე:

1. ახალი ფულის ნიშნები გამოიშვება სახელწოდებით:

„სახელმწიფო ფულის ნიშანი რ. ს. ს. ფ. 1922 წლის ნიმუშისა".

2. სახელმწიფოს ფულის ახალი ნიშანის 1 მანეთი უდრის წინად გამოშვებულ 10 ათას მანეთს საკრედიტო ბილეთისას და გასასწორებელ ნიშნისას, და აგრეთვე ყველა ვალდებულებას, რომელიც მათთან თანასწორ ტრიალში იყო.

3. ახალი ნიშნები გამოიშვება: 50 კაპეიკის, 1 მანეთის, 3, 5, 10, 25, 50, 100, 250, 500 და 1000 მ. ღირებულებისა.

4. 1922 წლის ნიმუშის სახელმწიფო ფულის ნიშნებს აქვთ ძალა რ. ს. ს. ფ. რ. ყველა ადგილებში, არსებულ საკრედიტო ბილეთებთან და გასასწორებელ ნიშნებთან ერთად და სავალდებულოა მისაღებად ყველა სახელმწიფო დაწესებულებათა და კერძო პირთათვის, განუსაზღვრელ ჯამით, მე-2 მუხლში აღნიშნულ კურსის მიხედვით.

5. 1922 წლის ნიმუშის სახელმწიფო ფულის ნიშნები გამოიშვება ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების ფარგლებში და უზრუნველყოფილია მთელ სახელმწიფოს ქონებით.

6. სახელმწიფო ფულის ყალბ ნიშნების დამმზადებელნი გადაეცემიან რევტრიბუნალის სასამართლოს.

საბჭოთა რუსეთი და გერმანია

საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლის დარბაზობა გერმანიის რეიხსკანცლერსა და პრეზიდენტთან.

სამშაბათს, 15 ნოემბერს, საბჭოთა რუსეთის სრულ-უფლებიანი წარმომადგენელი ამხ. ნ. ნ. კრესტინსკი მიღებულ იქნა იმპერიის კანცლერის დ-რ ვირტის მიერ, რომელსაც ჩააბარა რწმუნებითი სიგელი პრეზიდენტ ებერტისათვის გადასაცემად. დაესწრნენ: რუსეთის მთავრობის მხრივ: წარმომადგენლობის მდივანი ამხ. ბროდოვსკი და საბჭოთა რუსეთის სავაჭრო წარმომადგენელი ამხ. სტომონიაკოვი, გერმანიის გარეშე საქმეთა სამინისტროდან—სტატ-სეკრეტარი განნელი, აღმოსავლეთის დეპარტამენტის დირექტორი ბარონ მალცანი და რუსული განყოფილების რეფერენტი გაუშილდი. რწმუნებითი სიგელის გადაცემის დროს ამხ. კრესტინსკიმ შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა:

ამხ. ნ. ნ. კრესტინსკის სიტყვა

ბატონო რეიხსკანცლერო!

გადმოგცემთ რა ბ. რეიხსპრეზიდენტისათვის გადასაცემად ჩემს რწმუნებითი სიგელს, მე თქვენი სახით მივესალმები გერმანიის რესპუბლიკის მთავრობას.

იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომებით, აგრეთვე ინტერვენციებით და ბლოკადით განადგურებულ რუსეთის სამეურნეო აღორძინებისათვის აუცილებელია განახლება და ყოველ მხრივი გაფართოვება გერმანიასთან დამოკიდებულებისა.

გერმანიის სამეურნეო მდგომარეობა ომის შემდეგ აგრეთვე მოითხოვს რუსეთთან თანამშრომლობას. ამ ურთიერთმა ინტერესებმა ჰპოვეს თავისი პირველი იურიდიული გამოხატულება 1921 წლის 6 მაისის ხელშეკრულებაში. საბჭოთა მთავრობის სახელით მე გამოვსთქვამ რწმენას, რომ რუსეთსა და გერმანიას შორის ურთიერთობა არ შემოისაზღვრება 6 მაისის ხელშეკრულებით და მიღწეული იქნება უფრო მჭიდრო თანამშრომლობა რუსეთსა და გერმანიას შორის, რომელიც აუცილებელია ორივე ქვეყნის ხალხთა ინტერესებისათვის.

რეიხს-კანცლერის დოქტორ ვირტის პასუხი

რეიხს-კანცლერმა დ-რ ვირტმა საპასუხოდ შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა;

ბატონო სრულუფლებიანო წარმომადგენელო!

მადლობას გიძღვნით მისალმების სიტყვებისათვის, რომლებითაც მომმართეთ და რომლებშიაც გამოთქვით აუცილებლობა გერმანია-რუსეთის ურთიერთობის განმტკიცებისა. ამასთან ერთად, მე უნდა გამოვსთქვა ჩემი კმაყოფილება, რომ რუსეთის საბჭოთა მთავრობასაც ასულდგმულებს ეს სურვილი გერმანიასთან კარგი დამოკიდებულებისა.

თავის მხრივ ვაცხადებ, რომ ჩემ მთავარ მიზნად მიმაჩნია ვეცადო ორივე ხალხს შორის ურთიერთობის განმტკიცებას, მათი თანამშრომლობის ნიადაგზე.

თქვენ მიერ გამოთქმულ სურვილებს მე გადავსცემ რესპუბლიკის ბატონ პრეზიდენტს.

დარბაზობა რეიხს-პრეზიდენტ ბ. ებერტთან

შემდეგ ამისა ამხ. ნ. ნ. კრესტინსკი მიღებულ იქნა გერმანიის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბ. ებერტის მიერ.

კაპიტალიზმის სამეფოებში

ოსმალეთი.

დიდ ეროვნულ კრების პროტესტი.

ტრაპიზონი. 1 დეკემბერი. ოსმალეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ ერთხმად მიიღო წინადადება მოკავშირეთა სახელმწიფოებისადმი შემდეგი პროტესტის გამოცხადებისა: 1) ანტანტის სამხედრო გემების არსებობას სტამბოლში, ოსმალეთის სუვერენულ უფლებებისთვის დიდი ზარალი მოაქვს. 2) ხელშეკრულება, ზავის შესახებ, დადებული ოსმალეთსა და ანტანტის შორის, ამ უკანასკნელს არ ანიჭებს უფლებას ოსმალეთის ტერიტორიის ოკუპაციისას და აგრეთვე მის მცხოვრებთა ეროვნულ გრძნობის შელახვისა და დამცირებისას, რომელსაც ჰბადებს თვით ფაქტი ანტანტის საგანგებო პოლიციის არსებობისა სტამბოლში.

გერმანია.

საბჭოთა რუსეთი და გერმანია.

ნაუენი. 10 დეკემბერი. (რადიო). საბჭოთა სავაჭრო დელეგაციის ბერლინელმა გენერალურმა მდივანმა განაცხადა, რომ გერმანიის სახელმწიფო ბანკთან ფინანსიური შეთანხმება უკვე დაიდო. გერმანიის ბანკი კისრულობს რუსეთის ორდერების განაღდებას, მხოლოთ კრედიტის რაოდენობა პირველ ხანს განსაზღვრულია 200 მილ. მარკით.

რუსეთის დამხმარე საერთაშორისო კონფერენცია.

მოსკოვი. 12 დეკემბერი, (რადიო). ს. ს. ფ. რ. რ. წარმომადგენლის ამხ. კრესტინსკის მიერ ბერლინში გახსნილ იქნა რუსეთის დამხმარე მუშათა კომიტეტის საერთაშორისო კონფერენცია. კონფერენციას დაესწრო წარმომადგენელი ამსტერდამის გაერთიანებულ პროფკავშირისა გროსმანი, 2 ნახევარი ინტერნაციისაგან ფრიდრიხ ადლერი, პარიზის კომიტეტისგან „კლარ" მადელენ მარკო, ინგლისურ კომიტეტისგან „შორს ხელები რუსეთისგან" კოსტი, მთელი რიგი რეზოლიუციები შეტანილი პრეზიდიუმის მიერ ეხება სოლიდარულ გამოსვლას რუსეთისთვის კრედიტის გახსნის შესახებ. კონფერენციამ დაისახა მიზნათ—შეთანხმებული ორგანიზაციის ტეხნიკურად მოწყობა ყველა დამხმარე კომიტეტების მუშაობაში.

პურის მაგიერ დატუსაღება.

მოსკოვი. 11 დეკემბერი, (რადიო). ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ბერლინისა, კვლავაა აკლებული მაღაზიები, უმთავრესად ხალხის ბრბოს მიერ, რომლებიც ბინას და მუშაობას მოკლებულნი არიან. პოლიციამ დაატუსაღა 110 კაცი, ბერლინის პოლიცია კვლავ საბრძოლველად გამზადებულია. მოსალოდნელია ფასების აწევა პურზე, ნახშირზე და ბინებზე.

გაფიცვა ბერლინში.

ნაუენი. 10 დეკემბერი, (რადიო). გამოაცხადა გაფიცვა 24.000 მუშამ და მოსამსახურემ ბერლინის მიწის ქვეშა რკინის გზისა. გაფიცვის მიზეზი—ხელფასის გადიდების მოთხოვნაა.

საფრანგეთი

პრესსა ბრიანის შესახებ.

პარიზი. 10 დეკემბერი (რადიო) გაზ. „გოლუა" ეხება რა ბრიანის გამოსვლას დეპუტატთა პალატაში და სენატში სწერს: თამამად შეიძლება ითქვას, რომ ძლიერ მძიმეა ქვეყნის მართვა, როდესაც უნდობლობის ატმოსფერაში ხდება მუშაობა. ამიტომ, ბრიანი სრულიად მართალი იყო, როდესაც სთქვა, რომ მას არ შეუძლია მთავრობის სათავეში დარ-

ჩენა კანონმდებელ პალატის წინასწარ ვოტუმის მიუღებლად. ბრიანი დაჟინებით მოითხოვს, რომ მთავრობას ესაჭიროება სრული ნდობის და სრული ავტორიტეტის მინიჭება. გაზ. „ენტრასიჟანი" განაგრძობს რა ამ აზრის გარკვევას სწერს: საფრანგეთს მთელი ქვეყნის წინაშე უხდება ყველაზე უმადურ როლის თამაში. ბევრსა სურს საფრანგეთის სამხედრო ძლიერების შესუსტება და არა სჯერათ, როდესაც ის ცდილობს დაუმტკიცოს სახელმწიფოებს სამხედრო ძალის ყოლის საჭიროება, თვის უზრუნველსაყოფელად. ზოგიერთი სახელმწიფოებს კი თავი ისე უჭირავთ, ვითომც არ ესმოდეთ საფრანგეთის მოთხოვნილებანი. ბევრი მათგანი კი, სწუხს გაზეთი, უფრო შორს მიდის და როდესაც საფრანგეთი ლაპარაკობს თავის იარებსა და განადგურების შესახებ, თავის ფინანსიურ გაჭირვებაზე და როდესაც ის ცდილობს გერმანია დაიყოლიოს ვალის გადახდაზე, მას პასუხად ეუბნებიან ეს—იმპერიალიზმიაო.

კაპიტალისტურ იმპერიალიზმის ტრიუმფი

მოსკოვი, 12 დეკემბერი. რადიო). გაზეთი „ტანი" განმარტავს, რა ცნობას, ინგლის-ამერიკა-იაპონიის კავშირზე, თუმცა ესალმება ამ შეთანხმებას, მაგრამ გამოსთქვამს გაკვირვებას, რომ ამერიკამ, რომელიც საფრანგეთისათვის გარანტიების შესახებ ხელშეკრულებას რატიფიკაციას ვერ უკეთებს შესძლო კავშირი დაედო რომელიც დაკავშირებული საგარეო პოლიტიკის უმთავრეს საკითხებთან, გაზეთი „დეილი ჰერალდი" განმარტავს რა იმავე ცნობას, აღნიშნავს, რომ იაპონიის თანხმობა საზღვაო ძალთა განიარაღების შესახებ ნაყიდია იაპონიისათვის შესაფერ ფასით, რომლის რაოდენობა დაჩრდილულია ფრაზებით შეთანხმებაზე, შორეულ აღმოსავლეთის საკითხში. განზრახული კავშირი წარმოადგენს ლიგას ნადავლის გაყოფისათვის". და ვაშინგტონის კონფერენცია აღნიშნული იქნება ისტორიაში, როგორც უდიდესი ტრიუმფი კაპიტალისტურ იმპერიალიზმისა.

ის

1.

სწრაფად წარმავალ დღეებს სცვლიდა წელი, წლებს საუკუნე.

ძველი, დამყაყებული ცხოვრება შორდებოდა სარბიელს,—კვდებოდა; მაგრამ ამით სურათი გარეგნულად არ იცვლებოდა,—იბადებოდენ სიცოცხლით სავსე ახალი ძალები და ისინი იჭერდენ წასულებისგან დაცალიერებულ ადგილებს.

მსოფლიოს ვერ შეეჩერებია მოძრაობა, ხმაურობა, ყიჟინა,—ხანმოკლე დროითაც კი ვერ შესვენებულიყო იგი.

სიკვდილი და სიცოცხლე, ჩახვეულნი, მჭიდროდ გადაჭდობილნი ერთმანეთზე, არ სწყვეტდენ თავიანთ ამაშენებელს და დამანგრეველს მუშაობას.

ცხოვრების მდინარე შეუჩერებლივ განაგრძობდა წინსვლას და განვლილ სივრცეს ზომავდა, ანგარიშობდა, ყოველივე მომხდარს, შენამთხვევს გზებზე ცალკე იწერდა.

2.

სცემდა საათი.

მიფრინავდა დღეები.

ყველაფერი იცვლებოდა,—ხელახლა შენდებოდა.

არავითარი ისეთი ძალა აღარ დარჩენილიყო ქვეყნად, რომელსაც შესძლებოდა დაცვა, შერჩენა ჩვეულის, წინანდელი ყოფა—ადათების

თვით ჩვენი მშიდავი დედა-მიწა, გაშენებული, გამშვენიერებული შრომის მოყვარე ადამიანის ხელებით, უჩინარ, დაუძლეველი რკინის კანონებით, საკუთრება ხდებოდა ისეთებისა, რომელთაც სრულებით არ მიუძღოდა შრომა, არ დაეხარჯათ არავითარი ძალა, არ გაეღოთ არავითარი ენერგია მისთვის.

3.

და იმართებოდა ბრძოლა.

იღვრებოდა სისხლი.

საშინელი მოჯადოებული წრე ფართოვდებოდა, იზრდებოდა უფრო და უფრო, იპყრობდა თან და თან ყოველივეს, ღრმავდებოდა.

ტანჯული ადამიანი ვერ ნახულობდა გამოსავალ გზას.

დაბადებულნი, ისტორიის მიერ მოწოდებული გმირები ვერ ამართლებდენ იმედებს; მათ ნიჭს და ძალას აღემატებოდა მიეცათ დასასრული ჩაგვრისთვის, შეეწყვიტათ სისხლის დენა ადამიანისა, ეხსნათ დასავარდნათ განმზადებული, სიკვდილის პირად მისული სიცოცხლე.

ცხოვრება გამოუცნობელი გამხდარიყო; ცდა გამოუსადეგრად მიჩნეულიყო.

მაგრამ სამაგიეროდ წინაამდეგ მდგომი ძალები არ სთვლემდენ.

სისხლის მწოველი წურბელები, ავადმყოფ კაცობრიობის სხეულზე წარმოშობილი, სხეულის მწუწნავი ჭიები არ ჩერდებოდენ; ისინი გაცხოველებული ენერგიით განაგრძობდენ გეგმების შემუშავებას, დრო მოჭმულ, დასალუპავად გამზადებულ ქვეყნის შესანარჩუნებლათ, რომლის არსებული ძველი ფორმები იცავდა ერთად ერთ მათი უზრუნველყოფის სიმტკიცეს, რომლის შერჩენა მხოლოდ მათ აძლევდათ ბედნიერებას, უგრძელებდათ განცხრომის დღეებს.

და აი, იმათ შესძლეს კიდეც მოეწყოთ სასაკლაო, დაეყენებიათ სისხლის ზღვა, სისხლის ზღვა, რომელიც მათი განცხრომის დღეების განსამტკიცებლად იყო მოწოდებული.

4.

ცხოვრების ეკრანზე იხატებოდენ სწრაფ პროცესში მყოფი, თავზარდამცემი საშინელი სურათები.

ყველაფერი ინგრეოდა, ნადგურდებოდა.

ძმა დაპირდაპირებოდა ძმას და მიიმართებოდენ ერთი მეორის წინააღმდეგ.

გვემული შვილების ხელებით იღგვებოდა დედა-მიწის პირიდან მათივე საკუთარი შრომითვე შექმნილი სიმდიდრე.

და ამას-კი თითქო ყველანი შერიგებოდენ.

ვერ შეემჩნიათ მომავალი.

ყოველივე მიწყნარებულიყო.

სდუმდნენ.

ხმის ამოღება თითქო ყველას ეშინოდა.

არავინ არ ცდილობდა, დაერღვია სამარისებურ სიჩუმეში განმტკიცებული მორჩილება.

ადამიანების გულები ჰკარგავდენ სითბოს, თან და თან ცივდებოდენ, იყინებოდენ.

მსოფლიო უახლოვდებოდა საშინელ საიდუმლოებას.

— სად მივდივართ?

— რას გვიმზადებს ჩვენ ხვალინდელი დღე?

ისმებოდა კითხვები გაუბედავი ხმებით.

ჰგრძნობდენ ყველანი ყრუ, მიჩქვდარინებული ამოოხვრით გარემოცულ ატმოსფერას.

5.

...მოუხმობდენ ამღზრდელ ძველ მასწავლებლებს.

იყო მოთხოვნილება გამოცდილ, ნაცად გმირებისა, რომლებიც შესძლებდენ ეჩვენებინათ ხალხისთვის, ცხოვრების განკურნების შესაძლებლობა, რომლებსაც ექმნებოდათ ძალა—გავლენა, რომ გზა—აბნეული ძმები გადმოერწმუნებიათ, გადმოეყვანათ ყალბ, თვითმომსპობელ გზიდან; რომლებიც შესძლებდენ იმათი გაცივებულ—გაყინულ, მაგრამ ჯერ კიდევ სიცოცხლე შეუწყვეტელ გულ—სულის გათბობა—გალხობას; რომლებიც დაბოლოს მათ მოიყვანდენ მოძრაობაში თვითგანთავისუფლებისათვის.

მაგრამ ასეთები არსად მოიპოვებოდნენ.

ისინი მიმალულნი, გამქრალი აღმოჩნდენ.

6.

ატმოსფერა მძიმდებოდა.

ცა შავი ღრუბლებით იფარებოდა.

ბნელდებოდა მზე...

— სადღა?

— სადღაა ისინი?

— ...ეხლა, როცა დადგა საშინელი განკითხვის საათები, როცა ისინი ყველაზე მეტად გვჭირდება ჩვენ, რატომ, რატომ არა სჩანან?! რატომ არ იჩენენ თავიანთ ცოდნას, თავიანთ გამოცდილებას ისინი?!

— რისთვის, რისთვის არ გვიჩვენებენ ისინი ჩვენ გზას?.. რისთვის არ გვეუბნებიან, რა ვქნათ, რა ვაკეთოთ?!.

7.

მუდმივი, სამარადისო არაფერი ქვეყნად არ არსებობს.

სიხარული და მწუხარება იბადებიან და კვდებიან, ერთმანეთის გამოცვლით, რიგ-რიგობით სადაც ხან ერთი იჭერს ადგილს, ხან მეორე.

„ყველაფერი მოძრაობს, ბრუნავს, წარმავალია,—ყველაფერს აქვს დასასრული".

და აი ბუნების ეს კანონი აქაც დარჩა ძალაში.

დაიწყო რღვევა სამარისებური სიჩუმისა.

8.

იშვიათად მაგრამ მტკიცედ, მეთოდიური ზრდით მოდიოდა გარკვეული ხმები სადღაციდან, შორიდან:

— გამოფხიზლდით! აღსდექით დაჩაგრულო ძმებო!

— ...ამხანაგებო! ჩამოშორდით გუშინდელ თქვენს მეგობარ—მასწავლებლებს, რომლებიც დღეს თქვენდამი ღალატით ავსებულან და დატყუილებით გაღვრევინებთ სისხლს წყეული მტრების, კაპიტალისტების ინტერესისათვის!

— ...შესწყვიტეთ ამხანაგებო ყოველივე ნდობა გუშინდელი მეგობრებზე, რომლებიც დღეს თქვენი გამყიდველი გამხდარან!

— ისინი ამხანაგებო, მოსყიდულები არიან თავიანთი მშობლიური კაპიტალისტებისაგან!

— ისინი დღეს მდიდრების აგენტებს წარმოადგენენ, რომლებიც თქვენ დაუზოგველად გწოვენ სისხლს.

— ... ამხანაგებო! გამოუცხადეთ კლასობრივი, პროლეტარული ომი კაპიტალისტებს, რომლებმაც მოგახვიათ თავზე თქვენთვის უცხო, საკუთარი თავის სასარგებლოდ მიმართული ძმათა კვლის ომი!

— ამხანაგებო, შემოიკრიბეთ ძალები, მოემზადენით ძველი, დახავსებული წესწყობილების დასამხობად, რომელმაც მოგიზღოთ ამდენი ტკივილები, ამდენი მწუხარება!

— ...ყველა, ქვეყნის ჩაგრულებო ჩაირაზმენით მებრძოლთა რიგებში, იყავით ფხიზლად!

ეს ხმები არღვევდენ რკინის ამოყვანილ ძლიერ კედლებს, და მისაწვდენი ხდებოდა ყველასათვის, ყველგან.

მოსული ხმების შინაარსს, მისი მნიშვნელობას ეცნობოდენ თანდათან მთელ დედამიწაზე.

8

დასახიჩრებულნი...

კაპიტალის მონობაში სულ-ხორცით დაავათმყოფებულნი, წარმოებული ძმათა ომით სისხლ დაცლილი მშრომელი კლასი, მათდამი მიღწეულ მონატრებულ ხმებს ეკიდებოდენ ისე, როგორც წყალში ჩავარდნილი, დახრჩობის პირად მიმდგარი ადამიანი სახსნელად გაწვდილ თოკს.

...ისინი აქ გრძნობით ხედავდენ ძლიერ ხელს, არა ჩვეულებრივ, ძლიერი ადამიანისას,—მახვილი,უჩვეულო გონებით, არყოფილ, ფოლადის მტკიცე ხასიათით.

და ისინი იწყებდენ გამოცოცხლებას.

მოძრაობაში მოდიოდენ.

— ...დიახ, ის მართალია.

— ...ამ ხმებში მე ვხედავ ჭეშმარიტებას!

— ჩემთვის ყველაფერი ნათელი ხდება!

— ეს ერთად ერთი გზა არის, საიდანაც შესაძლებელი იქნება გამოყვანა ჩიხში მომწყვდეულ კაცობრიობისა.

...უკვე აეხადა შავი ფარდა, რომელიც საუკუნოებით ფარავდა ცხოვრების საშინელ თამაშს.

— ...ორ აზროვნებას, მატყუარობას აქ ადგილი აღარ აქვს.

— ...მე შევდგი ფეხი უკვე ნაჩვენებ გზაზე!

— ...მე მივდივარ!

— ...მივდივარ!

მოსმენილ ხმებს არჩევდენ აფასებდენ.

გამოჰყავდათ შესაფერი დასკვნები.

9

მოღუშული ცა იშლებოდა.

ჩამობნელებული დედა-მიწა ნათლდებოდა.

ურწმუნოება, ეჭვი, ნაჩვენებ გზის სისწორეში ქრებოდა.

ყინვად ქცეული გულები ლხვებოდა.

მოწყურულ სულში ჩამოწოლილი ბოლმა ეძებდა გამოსავალს.

ეხლა ყველასათვის ცხადი გამხდარიყო, რომ ამ მდგომარეობაში კიდევ ყოფნა შეუძლებელი იყო.

მოუსვენარი, მუდამ მმოძრავი მდინარე ყინვის დნობით თან და თან ზრდაში მყოფი, გაძლიერებული, გრძელდებოდა და...

ხმაურობა, ყვირილი, სასოწარკვეთილი ამოძახილი—მხიარული სიცილში და ბრძოლის საამო სიმღერებში არეული აყრუებდენ ჰაერს.

ყველას გაეგო უკვე, თუ რაში იყო საქმე, და ამიტომ აღარავინ აღარ იძლეოდა კითხვებს, არ თხოულობდენ პასუხს.

გზა ნახული იყო...

— ...მხნედ ამხანაგებო წინ!

— გასწიეთ ამხანაგებო! აღგავეთ, წაშალეთ, გზებზე ყოველივე ძველის მომგონებელი!

— ...არ აპატიოთ ორგულებს, არ შეიბრალოთ მტრები, რომლებიც დანიშნულ მიზნისაკენ სვლაში ხელს შეგიშლიან!

გრძელდებოდა მოსვლა მათ ყურებამდის ნაცნობი ხმებისა, უცნობი ადამიანისა, მაგრამ ეხლა უკვე არა ისე შორიდან, არამედ ახლო, ახლო, თან და თან მოახლოვებულ ადამიანისა.

ს. თალაკვაძე.

(დასასრული იქნება)

ქრონიკა

◆ **„საქართველოს კოოპერაცია"** ცეკავშირმა პირველად გაგზავნა გემი „საქართველოს კოოპერაცია". ეს გემი შეადგენს ცეკავშირის საკუთრებას. გემი გავიდა ბათომიდან მიმართულებით—სოხუმი—ნოვოროსისკი—ევპატორია—ოდესა. „საქართველოს კოოპერაციას" მიაქვს თხილი, ჩაი, დაფნის ფოთოლი და სხვა ადგილობრივი პროდუქტები. სანაცვლოდ მან უნდა ჩამოზიდოს ქონეული, ძარილი, ქურქელი და სხ. მეორე რეისი განზრახულია ანატოლიის სანაპიროებისაკენ პურის მოსატანად ნავთის სამაგიროდ.

◆ **ფასიანი აფთიაქები.** 15 დეკემბრიდან წამლების უფასო მიცემა სავადმყოფო კასის მონაწილეების და მათი ოჯახების წევრებისათვის იწარმოებს მხოლოდ 8 აფთიაქიდან. დანარჩენ აფთიაქებიდან წამლეულის გაშვება მოხდება ფასით.

◆ **ქალაქის რევკომში.** ქალაქის რევკომის ყველა განყოფილებათა საქმის წარმოების და შტატების შემამოწმებელმა სარევიზიო კომისიამ უკვე დაამთავრა მუშაობა. კომისიამ საჭიროდ დაინახა, წინადადება მიეცეს ყველა განყოფილებების და კანცელარიის გამგეებს, გარდა ცენტრალურ ბუღალტერიისა, მიიღონ სახელმძღვანელოდ მმართველობის განყოფილებაში მიღებული სისტემა, რომელიც მდგომარეობს საქმის წარმოების დროგამოშვებით კონტროლში. კომისიის დასკვნით შტატების შემცირება საქმისთვის დაუზიანებლად შესაძლებელია 56 კაცით.

◆ **წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლა.** ამ ჟამად თბილისის სხვა და სხვა წარმოებაში არსებობს 35 სკოლა წ.-კ. უცოდინრობის სალიკვიდაციოთ. საქართველოს პროფკავშირის საბჭოს კულტურული განყოფილება შეუთანხმდა საგანგებო კომისიას წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ, ამ შეთანხმებით სკოლების რიცხვი რჩება უცვლელად. მაგრამ უცოდინრობის ლიკვიდაციის სკოლა ერთი ადგილიდან გადატანილი იქნება მეორე ადგილას. სკოლაში მუდმივად სიარულს ხელს უშლის გამოურკვევლობა საკითხისა იმ ორი საათის ჯილდოს შესახებ, რომელიც უნდა მიეცეს სკოლაში მეცადინეობის დროს იმ წარმოებების მუშებს, სადაც შრომის გასამრჯელოს იღებენ ნარდათ, ამ საკითხის შესახებ ამხ. ედელსონს შეაქვს პრეზიდიუმში პროექტი, რომ ასეთ წარმოების მუშებს მიეცეთ სკოლაში დასწრების საათების ფასიც. ზოგიერთ წარმოებებში თვითონ სკოლის მოსწავლეებმა გამოიმუშავეს ბრძოლის ზომები იმათ წინააღმდეგ, ვინც სკოლას არ ესწრება მუდმივ. აქ შედის პურის ულუფის შემცირება, შავ დაფაზე გამოცხადება და სხვა. ძლიერ საჭიროებენ დაფებს. ზოგიერთი პროფკავშირები მონაწილეობას იღებენ სკოლის მასწავლებლების უზრუნველყოფაში თავის წარმოების ულუფის დათმობით. ამ სკოლების კანტროლი გადაეცემა წარმოებების და დაწესებულებათა კულტურულ იაჩეიკებს. მოსწავლეთა უმეტესობა ქალებია. თამბაქოს ფაბრიკებში წ.-კ. უცოდინრობას თითქმის ლიკვიდაცია უყვეს. კულტურულ წარმომადგენლად საგანგებო კომისიაში უცოდინრობის სალიკვიდაციოთ დანიშნულია ამხ. მარკოზოვი.

◆ **რევტრიბუნალში.** ს. ს. ს. რ. უზენაესი რევტრიბუნალის მიერ ამა წ. 15 დეკემბერს, დილის 9 საათზე, მოსმენილ და განხილულ იქნება საქმე სახალხო სასურსათო კომისარიატის რწმუნებულ ილია გიორგის ძე მილორავასი, რომელსაც ბრალდება სახაზინო ფულების გაფლანგვა, დაცემის ხიმულიაცია და მამინ შახნაზაროვას მოკვლა.

◆ **ქალაქის მილიციის კლუბი.** ქალაქის მილიციის კლუბთან გახსნილია ქართული და რუსული დრამების სტუდიები, მგალობელთა ხორო და სამეცნიერო-სალიტერატურო.

◆ **ესტეტიური საღამო.** დღეს, 14 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, „ქიმერიონ"-ის პატარა დარბაზში (რუსთავ. პროსპ. № 24) გაიმართება პირველი ესტეტიური საღამო. მოხსენებებს წაიკითხავენ: ტიციან ტაბიძე—ჩვენი სეზონი, გიორგი ლეონიძე—„ყანწელების ჰერალდიკა". შესვლა უფასოა ყველა მწერლებისთვის.

საქართველოს ეკონომიური ცხოვრება

თამბაქო საქართველოსთვის

ს. მ. უ. ს. თამბაქოს განყოფილების დადგენილებით სოხუმში მივლინებულ იქნა კომისია თამბაქოს საყიდლათ და გადმოსატანათ საქართველოსთვის. კომისიის ხარჯებისთვის გადადებულია 70 მილიონი [illegible]ნ.

სამკერვალო სახელოსნოების წარმოება ოქტომბერში

ყოფილ მ. ადელხანოვის ტანსაცმლის სახელოსნოში დამზადებულია შემდეგი ნივთები: ბუშლატი—2904 ცალი, ნაბადი——150 ცალი, ტუჟურკა—21 ცალი, თუშური ქუდი—500 ცალი, ტყავის შალვარი—10 ცალი, მუშაობდა 45 კაცი და მოსამსახურე იყო 4, ცენტრალურ სახელმწიფო ფაბრიკის ქუდის განყოფილებაში დამზადებულია ქუდი—1,504 ცალი, მუშები იყვნენ 40 კაცი და მოსამსახურე 2. ნივთების საწყობის სამკერვალო სახელოსნოში დამზადებულია სათბური—1,840 ცალი, თბილი პეჭანგის ამხანაგი—1,300 ცალი.

თხილის დამზადება დასავლეთ საქართველოში.

ს. მ. უ. ს. მომარაგების საბჭოს კოლეგიის მიერ დასავლეთ საქართველოში თხილის დამზადების მოწყობა ცნობილია აუცილებელ საჭიროებათ. აღმრიცხველ-დამამზადებელ განყოფილებას დაევალა თხილის რაოდენობის დაწვრილებით გამორკვევა, რომელიც შეიძლება დამზადდეს იმ ადგილებში, სადაც შესაძლებელია დამზადება, და თხილზე ფასის გამორკვევა. განყოფილებამ უნდა შეადგინოს საჭირო ხარჯთ-აღრიცხვა ოპერაციებისათვის საჭირო ფულის რაოდენობის და საქონლის აღნიშვნით. ყველა აღნიშნულ კითხვებში განყოფილებამ უნდა მიაღწიოს ს. მ. უ. ს. ქიმიურ განყოფილებასა და მომარაგების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებას.

რწმუნებულათ აღნიშნულ ორგანიზაციების მოსაწყობათ, კოლლეგიის მიერ მოწვეულია ამხ. რამიშვილი, რომელიც კარგათაა გაცნობილი თხილის დასამზადებელ რაიონებთან. დამზადება გატარებულ უნდა იქნეს, უმთავრესად, თხილით მდიდარ სამეგრელოში, რომელიც შესაფერია ზეთის გამომხდელ ქარხნების გასამართავათ. რწმუნებულს ეძლევა 3 პროც. დასამზადებელ ჯამისა და ამასთანავე მთელი ხარჯი მისია. გარდა ადგილობრივი საწყობების ბინის ქირის ხარჯისა და საქონლის გადატანისა, რომელიც სწარმოებს მომარაგების საბჭოს ხარჯზე

ბაზსაწყობებში არსებულ საქონლის შეფასება.

მომარაგების საბჭოს კოლლეგიის მიერ ახალ ეკონომიურ პოლიტიკის კურსთან დაკავშირებით საჭიროდაა ცნობილი ბაზსაწყობებში არსებულ საქონლის კალკულიაცია.

ამ სამუშაოს რაც შეიძლება მცირე ხანში შესასრულებლათ, კოლლეგიის მიერ დადგენილია: 1) შეიქნეს 3 შემფასებელი კომისია, რომელთაგან 2-მა უნდა იმუშაოს ბაზსაწყობში № 2, და 1-მა ბაზსაწყობში № 1. 2) კომისიები სდგებიან 3 პირისაგან, რომელთა რიცხვშიც შედის მუშა-გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელიც. ამ კომისიებს უფლება ეძლევათ განსაზღვრულ ფასით გარედან სპეციალისტის მოწვევისა, 3) კომისიის წევრთა შრომის ხელფასის ანაზღაურების რაოდენობა უნდა დამტკიცებულ იქმნეს პროფკავშირთა საბჭოს სატარიფო-საწარმოო განყოფილებასთან შეთანხმებით. 4. ბაზსაწყობების გამგეებს მიეცეს წინადადება რათა ერთნაირი საქონელი დაალაგონ ცალკე ბეღლებში.

პატარა ფელეტონი

საშობაო ზეიმი.

საუცხოვო სანახაობას წარმოადგენდა სახაზინო თეატრი ათ ქრისტეშობისთვეს.

ამ დღეს აქ ამხ. პარტკომსა და რევკომს შეეძინათ ვაჟიშვილი, რომელიც ცხრა თვის წინათ ჩასახულ იქნა შულავერში.

მშობიარობა მოხდა რამდენიმე დღით ადრე, ვიდრე მოსალოდნელი იყო, მაგრამ მიუხედავათ ამისა ახალშობილი მშვენიერ კარგათ გრძნობს თავს და უდღეობის ნიშანიც არ ეტყობა.

ნაადრევი მშობიარება უნდა მიეწეროს იმ გარემოებას, რომ ბებიებს მიეჩქარებოდათ მოსკოვში. სადაც ოცი ქრისტეშობისთვეს დანიშნულია კომუნისტური ქორწინება ყველა იმ ვაჟთა და ქალთა, რომლებიც დაიბადნენ და საარაკო დევგმირივით დაიზარდნენ ოთხი წლის განმავლობაში

იქ მათ დასწრებას თხოულობს ის გარემოება, რომ სარძლოთა შორის ურევიან ისეთი ქალიშვილები, რომლებიც ეკუთვნიან უცხო წრეს. ასეთებია, მაგ., ქ-ნი ეკონომიური პოლიტიკა, ვალთა ცნობა, ფედერაცია და სხვა.

მოსალოდნელია, რომ მათი ჭირისუფლები მზითევის გარშემო შექმნიან ერთ განგაშს.

მართალია, მზითევის საკითხი მაჭანკალს უფრო ეხება, ვიდრე ბებიას, მაგრამ კომუნიზმი რაღა კომუნიზმია, თუ ასეთი დაძველებული წესი ვერ შესცვალა!

გარდა ამისა, ბებიათა სურვილი იყო ერთხელ კიდევ გამოეცადათ თავიანთი ხელმარდობა ნაადრევ მშობიარობაში, ვინაიდან მოსალოდნელია რომ ეს გამოცდილება გამოადგებათ მათ ქ-ნ ანტანტას მოლოგინების დროს.

მშობიარობისთვის მზადება მთელი კვირის განმავლობაში სწარმოებდა.

არ იღებდენ მონაწილეობას ამ მზადებაში მხოლოთ ისინი, ვისაც არავითარი ნათესაობა არ ჰქონდათ მშობლებთან.

იყვნენ აგრეთვე შორეული ნათესავები, რომლებიც ქეც ღებულობდენ და არც ღებულობდენ მონაწილეობას, მაგრამ ბოლოს ისინიც აყვნენ საერთო ფეხის ხმას. თან მათი მონაწილეობა უფრო უარყოფითი იყო, ვიდრე დადებითი, ვინაიდან მათ ჯერაც ვერ შეუგნიათ ბრძნული თქმულება: „ბუნებას კარებში გააგდებ—ფანჯრებიდან შემოვა, ფანჯარაში გადევნი—ჭუჭრუტანაში შემოძვრებაო".

მათმა წინაამდეგობამ, რა თქმა უნდა, ერთი წუთითაც ვერ დააბრკოლა ბუნებრივი მოვლენა.

მშობიარემ მუცლის ტკივილი იგრძნო საათის თორმეტზე მუშათა სასახლეში. აქედან ის გადაყვანილ იქნა სახაზინო თეატრის დარბაზში, სადაც მშვიდობიანათ მორჩა საათის ექვსზე.

ახალშობილი მიირქვა ლადო დუმბაძემ და უწოდა ახალმოდის სახელი—საბჭო.

ჯერ კიდევ ოთხი საათი არ იქნებოდა, რომ მშობიარობის ამბავი ქვეყანას მოედო და აუარებელი ნათესავები და მნახველები მოაწყდენ სახაზინო თეატრს.

სრულიათ გარეშე პირებიც ბლომათ მოვიდნენ და უტრიალებდენ გარშემო თეატრს შიგ შესასვლელათ, მაგრამ მისაწვევ ბარათის უქონლობის გამო გაწბილებული გულდაწყვეტილი ბრუნდებოდენ შინ.

თეატრი ისე გაიჭედა ხალხით, რომ თავმჯდომარის დასაჯდომი ადგილიც აღარ იშოვებოდა, ამიტომ ის კრებას თავმდგომარეობდა.

საერთო სიხარული იმდენათ დიდი იყო, რომ აღარ იცოდნენ, ვის რა ეთქვათ. ურიცხვი ორატორები, მილოცვის მაგიერ, ჩვეულებისამებრ საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ აკეთებდენ გრძელ მოხსენებებს!

ყველაზე უფრო ვრცელი მოხსენება თედო ღლონტმა გააკეთა. მოახტა რა არა თავის ქაღალდის „ტრიბუნას", არამედ ნამდვილ ტრიბუნას,—გაემართა დასავლეთ ევროპაში, აზიაში და ამერიკაში! კიდევ კარგი, რომ აფრიკაში და ავსტრალიაში არ გაემგზავრა, თორემ ჯერაც ვერ დაბრუნდებოდა იქედან!

მისი მოხსენების დროს ახალშობილს ტკბილათ ჩაეძინა!

მან გამოიღვიძა მხოლოთ მაშინ, როდესაც სცენაზე გაინავარდა მისმა უფროსმა პეტროგრადელმა ძამიამ. მაგრამ ისევ ჩასთვლიმა, რადგან მომხსენებელი მოჰყვა ოთხი წლის ახალი ხანის და ერთი წლის კერენსკის ისტორიის მოთხრობას! მხოლოთ წითელი არმიის წარმომადგენელის მედგარმა „ურამ" გამოაფხიზლა ის.

მიასნიკიანი წავიდა პირდაპირი მავთულით ერევანთან მოსალაპარაკებლათ და მისალოც დირექტივების მისაღებათ, მაგრამ გამოირკვა, რომ სომხეთის ყველა სახალხო კომისრები თბილისში ყოფილან. ამიტომ მას მოუხდა ექსპრომტათ საკუთარი სიტყვის წარმოთქმა.

აზერბაიჯანიდან, მიუხედავათ იმისა, რომ ფოჩტა ტელეგრაფი ჯერ კიდევ არ არის ფედერატიულათ გაერთიანებული, გრძელი მისალოცავი დეპეშა მოვიდა მშობიარეს მორჩენამდის.

დანარჩენი ორატორები ბაბუა ბურჟუის სულის ამოხდომაზე უფრო მეტს ლაპარაკობდენ, ვიდრე ახლად სულ ჩადგმულის შესახებ.

მხოლოთ უმთავრესმა ბებიამ,—კიროვმა, წარმოსთქვა დღესასწაულის შესაფერი მხურვალე მისალმება. მისი მჭექარე ხმა ისეთი ძრიელი გამოდგა, რომ ივანოვ-კავკასკის რომ მოხვდა, წააქცია და ყირამალა გადაატრიალა!..

ორატორების გრძელი სიტყვებით ისარგებლა მამიამ და კიდევ უგრძესი რეზოლიუცია და სამაგიერო მისასალმებელი დეპეშები შეადგინა, რომლებიც ვერ იქნენ მოსმენილი დროს უქონლობის გამო.

ზეიმი დათავდა აბესალომის და ეთერის ტრაგიკული გარდაცვალებით. გულაჩუყებული დამსწრენი დროსა და ადგილის შეუფერებელ ქვითინს მორთავდენ, რომ შიშველ ფერიებს არ მოეტრიალებით წალმა საქმე. მათმა მოხდენილმა ცეკვამ ისეთი მომაჯადოებელი გავლენა მოახდინა ყველა დამსწრეებზე, რომ ფარდის დაშვების თანავე ისინი აღგზნებული გაეშურენ თავიანთ სახლებისაკენ. „არსენ ჯორჯიაშვილის" წარმოდგენის საყურებლათ დარჩნენ მხოლოთ ისინი, ვისაც ბინაზე მარტო ცივი ლოგინის მეტი არა ეგულებოდათრა!

ყველაფერი კარგია, რაც კარგათ თავდება!..

ს. თ-ია.

სასურსათო გადასახადის გარშემო

პირველ დეკემბრამდე შემოსულია

თბილისში მიღებული ცნობებით 1 დეკემბრამდე ახალქალაქის მაზრაში შემოვიდა სასურსათო გადასახადი:

ხორბალი—622 ფ. 20 გ.
სიმინდი — 768 ფ. 13 გ.
კარტოფ.— 804 ფ. 35 გ.
ერბო — 4 ფ. 31 გ.
ყველი — 12 ფ. 33 გ.
მატყლი — 30 ფ. 14 გ.

თბილისის მაზრაში შემოსული სასურსათო გადასახადი გამოიხატება შემდეგი ციფრებში:

ხორბალი —124 ფ. 28 გ.
სიმინდი — 40 ფ. —
ქერი — 6 ფ. 20 გ.
კარტოფ. —595 ფ. 28 გ.
ხახვი —521 ფ. 12 გ.
ვაშლი —109 ფ. —
ჟრბო — 6 ფ. 1 გ.

ყელი — 6 ფ. 38 გ.
მატყლი — 3 ფ. 30 გ.
კვახი — 11 ფ. 32 გ.
ჰარხალი — 7 ფ. 05 გ.

თელავის მაზრაში ეხლა ხან იწყება სასურსათო გადასახადის აკრეფა. შეკრებილია 10 ფ. და 15 გ. ხორბალი.

აქალქალაქს მაზრაში.

ახალქალაქის მაზრაში სასურსათო გადასახადის აკრეფა ხორცეულზე შეწყვეტილია, მსხვილ საქონლის ჭირის გაჩენის გამო. ჭირის ეპიდემიამ საშინელი სახე მიიღო. იტყობინებიან, რომ მარტო სოფ. გორელოვის რაიონში ჭირი მოედო 150-ზე მეტს მსხვილ საქონელს.

ბორჩალოს მაზრაში.

ბორჩალოს მაზრიდან შემოვიდა თხოვნა სასურს. გადასახადი შემცირებულ იქნას 50 პროც. ვორონცოვკის რაიონში, ვინაიდან იქ მოსავალი ნამეტანი დაზარალებულია სეტყვისაგან.

თელავის მაზრაში.

თელავის მაზრაში სასურსათო გადასახადის აკრება, რომელსაც ეხლა ხან შეუდგნენ, შეფერხდა, იმიტომ რომ მოხდა ყველა სიების გენერალური რევიზია. ამ სამუშაოში დასახმარებლად მოწვეულ იქნენ პარტიული ორგანიზაციები და პროფკავშირები. მუშაობა ჩატარებულ იქმნა საფუძვლიანად და მცირე დროში.

სრულიად საქართველოს სახალხო განათლების და პოლიტგანათლების განყოფილ. მეორე ყრილობა

სახალხო განათლების საქმის მდგომარეობა მაზრებში

ამხ. ლევიცკის მოხსენება

სანამ გადავიდოდეთ ადგილობრივ სახალხო განათლების მდგომარეობის განხილვაზე, მის იდეურ და ფაქტიურ მუშაობის შეფასებაზე, საჭიროა შევჩერდეთ საკითხის ორგანიზაციულ მხარეზე. ჩვენ ყრილობაზე წარმოდგენილია სახალხო განათლების 19 განყოფილება და, როგორც გვიჩვენა ადგილობრივმა მასალებმა, ისინი კიდევ არ გასცილებიან ორგანიზაციულ პერიოდს, აქამდი კიდევ არა მოგვარებულ სახალხო განათლების სამაზრო განყოფილების მუშაობა აქამდი სწარმოებს უსისტემოდ და უგეგმოთ.

მთელ სახალხო განათლების სამაზრო განყოფილებები შეიძლება ინახოს 4—5 მაგ. სენაკის, ფოთის, შორაპნის, თბილისის და რამოდენიმედ ოზურგეთის მაზრებში, სადაც ასე თუ ისე მოგვარებულია სავსებით ყველა სამაზრო სამმართველოები, თითქმის ყველა მაზრები სჩივის მუშაკების უყოლობას, ინფორმაციული კავშირი ჯერ სავსებით არაა მოგვარებული და რაც უმთავრესია ადგილობრივად ინფორმაციას ჯერ კიდევ არ აძლევენ საჭირო მნიშვნელობას.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს მხარე, ორგანცენტრთან განსაკუთრებულ აპარატის ინსტრუქტორების ცენტრალურ ინსტიტუტის დაარსებით, რომელიც ხშირათ უნდა გაიგზავნოს პროვინციებში მუშაობის გამოსასწორებლათ, მალე მოგვარდება.

საჭიროა აღინიშნოს, რომ სკოლის რეფორმა გატარებულია ყველა მაზრებში იმდენად, რამდენადაც პირობები ამის საშვალებას იძლეოდენ. მაზრებში ძლიერ სუსტათაა დაყენებული სკოლის გარეშე პირველდაწყებითი სწავლის საქმე.

ყველა მაზრებში მხოლოთ 12 საბავშო ბაღია; ქალაქ ფოთში ასეთი ბაღი არის 4, გორის მაზრაში—3, ქუთაისში—2, ბორჩალოში—2, შორაპნის, ახალქალაქის, თელავის, სურამის და სენაკის მაზრებში თითო.

ასეთი ძალების საჭიროებას გვიკარნახებს არა მხოლოთ სოციალურ აღზრდის ძირითადი სამუშაო გეგმა არამედ ადგილობრივი მოთხოვნილებაც, რაც სჩანს შემდეგი სტატისტიკური ცნობებიდან: შულავერის ერთ საბავშო ბაღში ითვლება: 70, მეორეში—100 ბავში, ახალქალაქის მაზრაში კი ბავშთა რიცხვი უდრის 180, რაც უეჭველათ არ უნდა ჩაითვალოს ნორმალურათ.

ამაზე ცუდათაა საბავშო სახლების საქმე: მხოლოთ ქუთაისში და დაბა საგარეჯოში. სახალხო განათლების განყოფილებამ სცადა საბავშო სახლის გახსნა სამხრეთ ოსეთში, მაგრამ ეს იდეა აქამდის ვერ განხორციელდა.

მაზრებმა უნდა მიაქციოს სერიოზული ყურადღება ბავშების აღზრდას პატარაობიდანვე, რადგანაც ეს პირველი საძირკველია მომავალი მოქალაქისა.

თბილისში საქმე უკეთესათაა: გახსნილია 15 საბავშო ბაღი (637 ბავშით, ე. ი. 55 ბავშით ნაკლები, ვიდრე ყველა მაზრებში ერთად და 9 ბავშის სახლი, ავადმყოფი ბავშები გამოყოფილია და მოგროვილია ერთ სახლში და ექიმობენ. მაგრამ მიუხედავათ რიცხვისა საბავშო ბაღების და სახლები მაინც არაა საკმარისი.

სახალხო განათლების განყოფილებათა სამართველოები ჩივიან, რომ ნაკლებადაა მუშაკები; საჭიროა მომზადება და გაგზავნა პროვინციაში, რაც შეიძლება, მეტი მუშაკებისა. ამ მხრივ უკვე მიღებულია ზომები განათლების კომისარიატის მიერ: გახსნილია სკოლამდის აღზრდის კურსები. ძალიან საჭიროა მოკლე ვადიანი კურსების შექმნა არა თუ ცენტრში, არამედ ადგილობრივაც, თუმცა ყველა მაზრები ვერ გრძნობენ ამის საჭიროებას. გამოწვეულ 36 მსმენელ ქალიდან, გამოგზავნილია მხოლოთ 15. რამდენიმე მაზრამ (ახალციხის, ბორჩალო, დუშეთის, ოზურგეთის, სიღნაღის და თიანეთისამ არ გამოგზავნა არც ერთი კანდიდატი.

ამ მდგომარეობაშია სასოფლო ინსტრუქტორების კურსების საქმეც. გამოწვეულ 34 კაცისაგან—გამოგზავნილია მხოლოთ 10.

მთლიან შრომის სკოლის სფეროში ყველა მაზრებში ნაწარმოები იყო გაცალკევება ყოფილ გიმნაზიის და რეალურ სასწავლებლების და შეერთება მაღალი და დაბალი პირველ დაწყებითი სასწავლებლებისა, მაგრამ რადგანაც დაბალ დაწყებითი სასწავლებლები მეტი აღმოჩნდა, ისინი ძველებურათ განაგრძობენ არსებობას (მხოლოთ, რასაკვირველია, შეცვლილი პროგრამით; ამასთან ზოგიერთ მაზრებში ასეთი სკოლები ბლომათ მოიპოვება (გორის მაზრაში 167, შორაპნის — 127, ზუგდიდის — 124, ოზურგეთის—117) ტეხნიკუმები მაზრაში არი 3-5-მდი. უფრო სჭარბობს ჰუმანიტარული ტეხნიკუმები, თუმცა ადგილობრივად სასოფლო სამეურნეო-ტეხნიკუმების შესაქმნელათ არსებობს ხელსაყრელი პირობები.

მაზრებში საერთოდ ჩივიან: არ არის მასწავლებლები, მაზრების მთელ რიგში: სენაკის, ლეჩხუმის, ცხინვალის და ბორჯომის რაიონებში, სენაკის მაზრაში მასწავლებლების უყოლობის გამო არსებობა შესწყვიტა 24 სკოლამ, სამხრეთ ოსეთში—14 და სხვამ. ბევრი მასწავლებლები გადადის სხვა უწყებებში ცუდი მატერიალური პირობების გამო. ყურადღება მისაქცევია, რომ მასწავლებლებში ცოტაა უმაღლეს სწავლა დასრულებული: 464 მასწავლებელს შორის ზუგდიდის მაზრაში მხოლოთ 6 კაცია უმაღლესი სწავლით, ოზურგეთის, 900 მასწავლებლებიდან—მხოლოთ 8, ე. ი. 1 პროცენტით ნაკლები. ბორჩალოს—100—2. ამ მხრივ პროცენტობით ხონის რაიონი უკეთეს პირობებშია. ყველასათვის საგრძნობია მასწავლებელთა კურსების გახსნის საჭიროება.

ბევრ მაზრებში მეცადინეობის დაწყებას ხელს უშლიდა სკოლის შენობის შეკეთება. მართალია, ზოგიერთ მაზრებში ადგილობრივი მცხოვრებლები უწევდენ დახმარებას და აწარმოებდენ ნაწილობრივ შეკეთებას, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. შეკეთების საჭიროება, სკოლის შენობების და მასწავლებლების ნაკლებობა განსაკუთრებით უმაღლეს სპეციალურ ცოდნით ტეხნიკუმებისთვის, ავეჯეულობის და სამოსწავლო ნივთების უქონლობა, აი მაზრების საერთო განცხადება. განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში იმყოფება ლეჩხუმის, სამხრეთ ოსეთი და ახალქალაქის მაზრები. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ თითქმის სრულიათ არ მოდის ცნობები მაზრებში პროფტეხნიკურ განათლების შესახებ, მხოლოთ სენაკის მაზრის სახალხო განათლების სამმართველო იხსენიებს მათ პროფესიონალურ განათლების არსებობის შესახებ, მიუხედავათ იმისა, რომ უმეტეს მაზრებში არის ბევრი სხვა და სხვა რიგის სახელოსნოები ქარხნები, რომლებიც შესაძლებელია სათანადოთ იქნას გამოყენებული რესპუბლიკაში პროფტეხნიკუმის განსავითარებლათ.

იგივე პრიმიტიული და უგეგმო მუშაობა, რომელზედაც მე ვლაპარაკობდი ჩემ მოხსენების დასაწყისში, არსებობს აგრეთვე მაზრების პოლიტიკურ განათლების მუშაობის სფეროში. ბევრი სახალხო განათლების სამმართველო ყურადღებას აქცევს ხანდისხან პოლიტიკურ განათლების მუშაობის მხოლოდ ერთ რომელიმე მხარეს. მაგალითად ბორჩალოს პოლიტიკურ განათლების განყოფილებაში მოწყობილია მხოლოდ ერთ სამხატვრო განყოფილება და ასეთივე ცალმხრივობა არსებობს სხვა მაზრების პოლიტიკურ განყოფილების ორგანიზაციებშიაც. ყველა მაზრებს არ მოუხდენია წერა-კითხვის უცოდინართა აღრიცხვა, როდესაც წერა-კითხვის არ მცოდნეთა რიცხვი, როგორც გვიჩვენებს თელავის, ხაშურის, ხონის და ოზურგეთის პოლიტიკურ განათლების განყოფილების ცნობები, აღწევს 50—75 პროც. უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლების რიცხვი სრულიად არაა დამაკმაყოფილებელი: მხოლოდ სენაკის მაზრაში გახსნილია 10 სკოლა, დანარჩენ მაზრებში კი სკოლების რიცხვი უფრო ნაკლებია (1—5) უდრის. ქუთაისის მაზრაში გახსნილი იყო 30 სკოლა, მაგრამ სახსარის უქონლობის გამო მოხდა მათი ლიკვიდაცია, როდესაც ტეხნიკურ უცოდინარობის ლიკვიდაცია—მასის განათლების ძირითადი საქმეა: უიმისოთ შეუძლებელია მტკიცე პოლიტიკური განათლება.

პოლიტგანათლების მუშაობის ცნობები—სხვა სფეროში მაზრებმა ცოტა წარმოადგინა, ფოთის სახ. განათლების განყოფილების გარდა, რომელმაც წარმოადგინა სრული მოხსენება. სავსებით არ არის გაშუქებული, თუ როგორ ჩატარდა პროვინციებში „საბავშო კვირა“, და „ოქტომბრის დღესასწაული« (ფოთის პოლიტ-განათლების გარდა მაზრებში კი ეს მუშაობა სწარმოებდა. პოლიტგანათლების განყოფილებათა უმრავლესობა იხსენიებენ მხოლოდ კლუბების არსებობას და არაფერს ლაპარაკობენ მათ მიერ წარმოებულ მუშაობის შესახებ. საბიბლიოთეკო სფეროში უკვე მომხდარია ცენტრალიზაცია.

სახალხო განათლების განყოფილებებთან უმეტეს შემთხვევაში მოწყობილია ბეჭდვის ცენტრის განყოფილებები, მაგრამ ცოტაა ისეთი, სადაც შემოქმედებითი მუშაობა სწარმოებდეს. ხშირია შემთხვევები, როდესაც ცენტრიდან გაგზავნილი ლიტერატურა არ მიდის დანიშნულ ადგილზე. ბეჭდვის ცენტრის საქმე უკეთესადაა დაყენებული თფილისის, თელავისა და ოზურგეთის მაზრებში.

აი საერთო სურათი სახალხო განათლებისა ადგილობრივად. შეიძლება მოკლე დროის გამო არ არის გაშუქებული ყველა მომენტები, მაგრამ ეს ნაკლი შევსებულ იქნება კამათის დროს. ჩვენ იმედი გვექნება, რომ ის ნაკლი, რომელიც ირკვევა მაზრების მუშაობის შედეგებში, სრულიად საქართველოს პოლიტგანათლებისა და სახალხო განათლების განყოფ. მეორე ყრილობის შემდეგ, სახალხო განათლების კომისარიატის წინმდებარე წლის მუშაობის ტემპის გაცნობისა, დირექტივების მიცემისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ეს ნაკლი შეივსება. და პატარა საქართველოში აღიმართება მაღალი შენობა სახალხო განათლებისა, აშენებული კომუნისტური იდეების საფუძველზე.

ამხ. ბრიხნიჩევს შემოაქვს წინადადება, სიგვიანის გამო, მოხსენების გარშემო ნუ გაიმართება კამათი და ყრილობა გადავიდეს შემდეგ მოხსენებაზე. წინადადება მიღებულ იქმნა.

წარმოებითი პროფკავშირებში

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილებაში.

საქართველოს პროფკავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, კულტურულ განყოფილებასთან განზრახულ პოლიტსექტორის მაგიერ შექმნილია სათათბირო ხასიათის კოლეგია, რომელიც იქნება ხოლმე მოწვეული კვირაში ერთჯერ. კოლეგია შესდგება კულტურულ განყოფილების 3 პასუხისმგებელ თანამშრომლის კულტურულ განყოფილებების პროფკავშირის პლენუმის ორი წარმომადგენლის სათათბირო ხმით და საქართველოს ახალგაზრდა კომუნისტურ კავშირის ერთი წარმომადგენლისაგან—სულ 9 კაცისაგან. კოლეგიასთან არსდება 5 სექცია უცოდინართა სალიკვიდაციო, პროფტეხნიკური განთლების: სოციალურ აღზრდის, კლუბ-წიგნთ-საცავის და ახალგაზრდათა შორის მუშაობისა. სექციის მუშაობას ხელმძღვანელობენ კულტგანყოფილების კოლეგიის წევრნი; მათში შედიან კულტგანყოფილების თითო გამგე პლენუმის კულტგანყოფილებიდან და ერთი პირი იმავე კულტგანყოფილებებიდან. კოლეგიაში ამორჩეულია ამხ. პრეობრაჟენსკი და ფანცხავა, კანდიდატებათ ამხ. მარკოზოვი და სეროპიანი.

— ს. პ. კას. კულტურულ განყოფილების კოლეგიამ სექციის მუშაობის გასაძღოლად გამოჰყო სექციების გამგეები: პროფტეხნიკურ სექციის მართვა დაევალა პრეობრაჟენსკის წერა-კითხვის სალიკვიდაციოსი ტერაკოფოვს, სოციალური აღზრდის—ფანცხავას, სამოსწავლო ბიბლიოთექის სექციის—ამხ. რახმას და ახალგაზრდათა შორის მუშაობის—ს. ა. კ. კ. წარმომადგენელს. ამას გარდა სექციებთან დაინიშნა ინსტრუქტორები; პროფტეხნიკურ განათლებასთან—ამხ. ედელბაუმ, წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაც,—მელიქსეტოვი, სოციალურ აღზრდისაში—თადევოსიან, კლუბ-ბიბლიოთეკის სექციაში—ავატკოვი და ახალგაზრდათა შორის სამუშაოთ—იაკობსონ.

სახალხო კვების კავშირში.

კვირას 4 დეკემბერს შესდგა სახალხო კვების კავშირთან არსებულ საამხანაგო სადისციპლინო სასამართლოს სხდომა.

იხილებოდა: 1) საქმე მე-2-რე ბავშთა სასადილოს გამგის ობრაზცოვაია—ბრიხნიჩევისა, პროდუქტების დარიგებაში ჩადენილ ბოროტ-მოქმედების შესახებ.

2. საქმე აპოლონ. ბოლქვაძისა, შევბულებზე ვადის გადამეტების შესახებ.

3. საქმე დიმიტრი ჩუბინიძისა—ქურდობის შესახებ.

4. საქმე მე-5-თე ბავშთა სასადილოს გამგის ივანე მანჯავიძისა და ექსპედიტორ კაჰაროვისა პროდუქტების განაწილებაში ჩადენილ ბოროტ-მოქმედების შესახებ.

საამხ. სადისციპლინო სასამართლომ განიხილა რა ზემოხსენებული საქმეები დადგინა: 1) ობრაზცოვაია-ბრიხნიჩევა სისტემატიურად დაუდევრობას იჩენდა სამსახურში, რის შედეგი იყო ის არანორმალური მოვლენები, რომელთაც მე-2-რე ბავშთა სასადილოში ჰქონდა ადგილი. მოქალაქე ობრაზცოვაია-ბრიხნიჩევა ცნობილ იქმნას დამნაშავეთ დაუდევრობაში, ჩამოერთვას კავშირის საწევრო წიგნაკი და გამორიცხულ იქმნეს როგორც კავშირიდან აგრეთვე სამსახურიდან.

2. განიხილა რა ყველა წამოყენებული საბუთები, და მიიღო რა მხედველობაში მისი 1905 წ. კავშირში ენერგიული მუშაობა—ამხ. ბოლქვაძე ცნობილ იქმნას უდანაშაულოდ და აღდგენილ იქმნეს მის უფლებებში.

3. ფაქტებით დამტკიცდა, რომ № 70 სასადილოს მზარეული დიმიტრი ჩუბინიძე დამნაშავეა ქურდობაში. როგორც მავნე მიმართულების პიროვნება მოქ. ჩუბინიძე: 1) მოხსნილ იქმნეს ადგილიდან.

4. როგორც გამოძიებიდან გამოირკვა სასადილო № 5 (ბავშთა) გამგეს მანჯავიძეს და ექსპედიტორ კაჰაროვს არ მიუღიათ ზომები, რათა ზედმეტი პროდუქტები არ ყოფილიყო მოღებული. მოქ. მანჯავიძეს და კაჰაროვს მიესაჯა თითო თვის იძულებითი შრომის გაწევა პირობით, მაგრამ მივიღეთ რა მხედველობაში მათი მძიმე ოჯახური მდგომარეობა და ვინაიდან საქმე მოხდა 7 ნოემბრამდის თანახმად საქ. რევკომის № 92 დეკრეტის სასჯელი ეპატიოს გაფრთხილებით, რათა შემდეგში ასეთ მოვლენებს ადგილი არ ჰქონდეს.

საამ. სადისც. სასამართლოს მდივანი **მანტკავა.**

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ბრძანება № 92.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის 1921 წ. ნოემბრის 28-ს დადგენილებით ამხ. **ბ. კვირკელია** განთავისუფლებულია ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისრის თანამდებობიდან.

ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისრად დანიშნულია ამხ. **ალექსი ჟამარაული.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ბ. მდივანი.**

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი **ალ. სალარიძე.**

1921 წ. დეკემბრის 8-ს.
ტფილისი—სასახლე.

ბრძანება № 93.

საქართველოს სოც საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის 1921 წ. დეკემბრის 3-ს დადგენილებით, ამხ. **ჯავაირა ხუტულაშვილი** დამტკიცებულია ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრად.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ბ. მდივანი.**

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი **ალ. სალარიძე.**

1921 წ. დეკემბრის 8-ს.
ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 114

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა.

ნატურალური ხარკის (натурналог მოხსნისა და შემცირების საუწყებათაშორისო კომისიის დაარსების შესახებ.

1. მოეწყოს სასურსათო სახალხო კომისარიატთან,—შინაგან საქმეთა, სასურსათო, მიწათ-მოქმედებისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისარიატების თითო წარმომადგენლისაგან,—სასურსათო სახალხო კომისარიატის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით, საუწყებათაშორისო კომისია, რომელიც განიხილავს შუამდგომლობათ ნატურალური ხარკის მოხსნისა და შემცირების შესახებ, რაიმე განსაკუთრებული გარემოებისა და უბედურების გამო, რაც გადამხდელს საშუალებას უსპობს ნატურალური ხარკის გაღებისას.

2. საუწყებათაშორისო კომისიის დადგენილება ნატურალური ხარკის მოხსნისა ან მისი რაოდენობის შემცირების შესახებ დამტკიცებულ უნდა იქნეს საქართველოს სოც. საბჭოთა რესპ. რევოლიუციონური კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ.

3. ნებართვა, იმის შესახებ, რომ ცალკე გადამხდელს ან ჯგუფს, რაიმე განსაკუთრებული გარმოების გამო, ნატურალური ხარკის ერთი პროდუქტი მეორე პროდუქტად შეეცვალოს, უნდა გაცემულ იქნეს სასურსათო სახალხო კომისარიატის მიერ.

4. სასურსათო სახალხო კომისარი, საუწყებათაშორისო კომისიასთან შეთანხმებით, გამოსცემს სათანადო ინსტრუქციებს.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ბ. მდივანი.**

სასურსათო სახალხო კომისრის მოადგილე **ალ. ერქომაიშვილი.**

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი **ალ. სალარიძე.**

1921 წ. დეკემბრის 8.ს.
ტფილისი-სასახლე.

დადგენილება

სახალხო სასურსათო და მიწათმოქმედების კომისარიატების და ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ამა წლის 26—28 სექტემბრის („პრავდა გრუზიის“ № 175 „კომუნისტი“ № 179—180) დადგენილებათა ნაწილობრივ შესაცვლელად, მოსავლის შემცირების გამო, ყინვების და ნიაღვრებისაგან, ამით წესდება მოსავალზე ქვემოდ დასახელებული ხარისხები, გადასახადთა ცხრილის მიხედვით, მოყვანილი დეკრეტი № 60-ის მე-მე პუნქტში, პურებზე ნატურგადასახადის შესახებ:

ა. სიმინდი

ზუგდიდის მაზრა: ჩრდილოეთის მხარის სოფლები: ნიკოსია, ყულისკარი, სარაყონი, ლესიჩინე, ჩხოროცყუ, ახუტი, ჩოღა, ნაფიჩხევი, კაბული, მუხური, ჯგალი, წალენჯიხა, ჩკადუაში, ობუჯი, კორცელი, ჯვარი, ჭალა, ფახულანი, ბეჲას, ნარაზენი, აბასთუმანი, ხორხი და ლია მოსავალზე მე-5 ხარისხი (46—50 ფუთამდე).

ქუთაისის მაზრა: დაბლობი ნაწილი მე-5-თე ხარისხი მოსავალზე (46—50 ფუთამდე).

მთა-გორიანი ნაწილი—მოსავალზე მე-3-მე ხარისხი (36—40 ფუთამდე).

ლეჩხუმის მაზრა: მოსავალზე მე-4-ხე ხარისხი (41—45 ფუთამდე).

რაჭის მაზრა: მოსავალზე მე-4-ხე ხარისხი (41—45 ფუთამდე).

სენაკის მაზრა: სალხინოს, ნაქალაქევის, ბანძის, ძველი-სენაკის და ახალ სენაკის რაიონები—მოსავალზე მე-7-ე ხარისხი (50—60 ფუთამდე).

აბაშის და მარტვილის რაიონები—მოსავალზე მე-5-თე ხარისხი (46—50 ფუთამდე).

შორაპნის მაზრა: დაბლობი ნაწილი—მოსავალზე მე-7-ე ხარისხი (56—60 ფუთამდე).

მთიანი ნაწილი—მოსავალზე მე-4-ე ხარისხი (41—45 ფუთამდე).

ბ. ხორბლეულობა

რაჭის მაზრა—მოსავალზე მე-2-რე ხარისხი (31—35 ფუთამდე).

ყველაფერ დანარჩენში ზემოდასახელებული დადგენილებები რჩებიან ძალაში.

თბილისი 3 დეკემბერი 1921 წ.

სახსასურკომის კოლეგიის წევრი: **ნ. ამირაღოვი.**

მიწათ-მოქმედების კომისარიატის წევრი: **ს. ტიმოფეევი.**

ცენტრალურ სტატისტიკურ სამართველოს მმართველი **ბ. ჩიგოგიძე.**

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1-ლ რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი »ნაძალადევი« ტელ. 1—33.

— მე-2-რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 37. ტელ. 5—69.

— მე-3-მე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ხე რაიონის ბიურო—ოლღას ქ. 29 »მუშათა კლუბის« შენობაში. 9—52.

— მე-5-თე რაიონის ბიურო—ამანოს ქუჩა.

— საქ. ახალგაზ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღებიან მხოლოდ ნაშუადღევის **2 საათამდის.**

მთავარი დამზღვევი კასა

ყველა სამაზრო პროფბიუროებს და დამზღვევ კასებს (საავათმყოფო კასების) გამგეობებს

ქალაქ თფილისის მთავარი დამზღვევი კასის ახალი გამგეობა თავის ბინაზე (ბარიათინის ქუჩა, № 6) 20 დეკემბერს იწვევს სრულიად საქართველოს

დამზღვევ კონფერენციას

კონფერენციის დღის წეს-რიგი:

1. მთავ. დამზღვ. კასის გამგეობის საინფორმაციო მოხსენება თავისი მოქმედების შესახებ.
2. მოხსენებები ადგილებიდან.
3. მიმდინარე მომენტი და მუშათა სოციალური დამზღვევის ამოცანები.
4. შრომის დაცვა და სოციალური დაზღვევა.
5. საორგანიზაციო საკითხები.
6. მიმდინარე საკითხები.

წარმომადგენლობის ნორმა

1. თვითეული სამაზრო პროფბიურო აგზავნის ერთს წარმომადგენელს

შენიშვნა 1. იქ, სადაც არსებობს დამზღვევი კასის გამგეობა—წარმომადგენელი იგზავნება ამ უკანასკნელის შემადგენლობიდან.

შენიშვნა 2. ჭიათურისა და ტყიბულის კასების გამგეობები აგზავნიან უშუალოდ ორ-ორ წარმომადგენელს.

2. დელეგატებს უნდა ჰქონდეთ სათანადო მანდატები.

გამგეობა.

დეკემბრის 15 საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატი

იწვევს ქალ. ტფილისში შრომის განყოფილებების გამგეთა ყრილობას.

ყრილობის დღიური წეს-რიგი:

1. შრომის სახალხო კომისარიატის საერთო მოქმედების შესახებ მოხსენება.
2. შრომის სახ. კომისარიატის მოქმედება ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში.
3. მოხსენებანი ადგილებიდან.
4. საორგანიზაციო საკითხები.
5. შრომის ბევრის შესახებ.
6. მუშათა ძალის აღრიცხვის შესახებ.
7. მიმდინარე საქმეები.

საქართველოს ხელოსანთა კავშირის მთავარი კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ ორშაბათს 19 დეკემბერს საღამოს 6 საათზე ხელოსანთა სასახლეში (სერგიევის ქუჩა № 13) დანიშნულია ხელოსანთა კავშირის წევრთა

საზოგადო კრება

განსახილველია საკითხები:

1) კავშირის რეორგანიზაცია.
2) მთავარ კომიტეტის წევრების არჩევნები.

მთავარი კომიტეტი.

პარტიული

— დღეს, ოთხშაბათს, 14 დეკემბერს 6 საათზე შესდგება მე-4 რაიონის ყველა წევრთა და კანდიდატთა საერთო კრება. დღის წესრიგი:

1. მუშათა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოს არჩევნების შედეგი.
2. მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე.
3. მიმდინარე საქმეები.

შესვლა პარტ. ბილეთებით.

— 15 დეკემბერს საღამოს 5 საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტში დანიშნულია ამავე უნივერსიტეტის იაჩეიკის მორიგი სხდომა.

დასწრება სავალდებულოა.

კომიაჩეიკის ბიურო.

სხვა და სხვა

— **დავკარგე მეტრიკული № 2470** (ჩასაბარი წიგნაკი), მოცემული სახელმწიფო უნივერსიტეტიდან სტუდენტმა ბორის ნიკოლოზის ძე მალსაგიშვილმა. ვაცხადებ გაუქმებულად.

ტირაჟი 10,000 6. დ. ს. ც. საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სტამბა, კრუზენშტერნის ქ., № 5.